პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 80-ე წელი

პარასკევი, 5 აგვისტო, 1949 წ. № 154 (8457). ფასი 20 კაპ.

სერიოზული გაფრთხილება ჩაის რაიონებს

ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი წელს უფრო მაღალია შარშანდელთან შედარებით. ამჟამად სუბტროპიკულ რაიონებში არის ჩაის უხვი მოსავლის ოსტატთა მრავალრიცხოვანი არმია, რომლებიც შესანიშნავად დაეუფლნენ ჩაის პლანტაციების მოვლისა და კრეფის ტექნიკას. უკანასკნელი წლების მანძილზე თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა ჩაის ბუჩქის მოვლა-დამუშავება.

დიდმა სტალინმა ჩვენი მეჩაიეების წინაშე საპატიო ამოცანა დასახა—უახლოეს წლებში მთლიანად დავაკმაყოფილოთ ჩაით საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება. პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სოფლის მუშაკები მთელი ძალით შრომობენ ამ დავალების გასანაღდებლად. ამას ნათლად მოწმობს მოწინავეთა დაძაბული მუშაობა ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გასადიდებლად.

მაგრამ ჩაის ფოთლის კრეფისა და პლანტაციების მოვლის საქმეში ჯერ კიდევ ვხვდებით სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „წულუკიძის, წყალტუბოს და ხობის რაიონებში ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ". ეს დადგენილება, რომელშიც მოცემულია ნაკლოვანებათა გამოსწორების კონკრეტული ღონისძიებანი, წარმოადგენს ჩაის რაიონების პარტიული ორგანიზაციების, სოფლის ყველა კომუნისტის მოქმედების საბრძოლო პროგრამას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა წულუკიძის, წყალტუბოსა და ხობის რაიონებში ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ფოთლის კრეფის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის. მთელ რიგ კოლმეურნეობებში პლანტაციები სრულიად დაუმუშავებელია, კულტივაცია ტარდება უხარისხოდ, ცალკეულ ნაკვეთებზე შეტანილი არ არის აზოტოვანი სასუქი და ჩაის ბუჩქები დაჩაგრულია სარეველა ბალახებით. მაგალითად, წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის 25 ჰექტარი ჩაის პლანტაცია სარეველა ბალახებით არის სავსე. იმავე სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში პლანტაციების მნიშვნელოვანი ნაწილი მოუვლელია. ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ბუჩქებს სარეველა ბალახები ჩაგრავს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ პარტიის წულუკიძის, ხობისა და წყალტუბოს რაიონული კომიტეტების მდივნები და რაისაბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის გაუმჯობესების საკითხებს და გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ იმ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებიც შლიან საწარმოო დავალებათა შესრულებას ჩაის დარგში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ფოთლის კრეფის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. ამ რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დამუშავებასა და მოვლას. მთელ რიგ შემოწმებულ კოლმეურნეობებში პლანტაციები სრულიად დაუმუშავებელია, კულტივაცია ტარდება უხარისხოდ, ცალკეულ ნაკვეთებზე შეტანილი არ არის აზოტოვანი სასუქი და ჩაის ბუჩქები დაჩაგრულია სარეველა ბალახებით.

წულუკიძის რაიონში 15 ივლისისათვის 1.399 ჰექტარი ჩაის პლანტაციებიდან პირველი გათოხნა არ იყო ჩატარებული 278 ჰექტარ ფართობზე, ხოლო მეორე — 818 ჰექტარზე, დამთავრებული არ იყო აგრეთვე პირველი და მეორე კულტივაცია და აზოტოვანი სასუქის პირველი დოზის შეტანა.

ამ რაიონის სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვაშარაძე) რაიონულ ორგანოებში წარადგინა ცნობები იმის შესახებ, რომ მან ჩაის პლანტაციების გადამამრავა ჩაატარა 67 ჰექტარზე, პირველი კულტივაცია 59 ჰექტარზე, მეორე კულტივაცია 60 ჰექტარზე და პირველი გათოხნა 62 ჰექტარზე, მაშინ როცა ფაქტიურად ეს სამუშაოები შესრულებული არ იყო. ამავე კოლმეურნეობაში არსებული 73,9 ჰექტარი ჩაის პლანტაციებიდან 25 ჰექტარი დაფარულია სარეველა ბალახებითა და შამბნარით. ეს ფართობი არც ერთხელ არ გათოხნილა. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა ივლისში კოლმეურნეობამ 15 რიცხვისათვის მხოლოდ 17,4 პროცენტით შეასრულა.

იმავე რაიონის სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჯიშკარიანი) 90 ჰექტარ ჩაის პლანტაციებიდან შემოწმების მომენტისათვის გათოხნილი არ იყო 50 ჰექტარი.

წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კინწურაშვილი) 65 ჰექტარ ჩაის პლანტაციებიდან 27 ჰექტარი დასარევლიანებულია და მოსავალს არ იძლევა. არც აზოტოვანი სასუქია შეტანილი, თუმცა კოლმეურნეობა ამ სასუქის საკმაო რაოდენობით არის უზრუნველყოფილი.

ხობის რაიონის კოლმეურნეობებში 15 ივლისისათვის მეორე გათოხნა არ ჩატარებულა 170 ჰექტარზე, მეორე კულტივაცია — 435 ჰექტარზე, მინერალური სასუქის მეორე დოზის შეტანა—456 ჰექტარზე. ამავე რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 190 ჰექტარ ჩაის პლანტაციებიდან 110 ჰექტარზე ჩატარებულია მხოლოდ მწკრივთაშორის ხვნა. ჩაის ბუჩქები დაჩაგრულია სარეველა ბალახით.

ასეთივე მდგომარეობაა ჩაის პლანტაციების მოვლის საქმეში წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის კალინინის სახელობის და კომკავშირის სახელობის, წულუკიძის რაიონის სოფელ დედალაუროს ბერიას სახელობის, სოფელ კუხის ვოროშილოვის სახელობის და სოფელ გუბის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ პარტიის რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები წულუკიძის რაიონისა (ამხ. ობოლაძე და ჩიქოვანი), ხობის რაიონისა (ამხ. სიორდია და ლატარია) და წყალტუბოს რაიონისა (ამხ. ჭახრაკია და მეფარიშვილი) საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის გაუმჯობესების საკითხებს და გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ იმ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებიც შლიან საწარმოო დავალებათა შესრულებას ჩაის დარგში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. ჩაის პლანტაციების დამუშავების ღონისძიებათა თავის დროზე ჩატარების შეუფასებლობისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანს ამხ. ვ. ობოლაძეს და რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. ა. ჩიქოვანს, საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანს ამხ. მ. სიორდიას და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ლატარიას—მიეთითოთ.

2. ჩაის პლანტაციების დამუშავების ჩაშლისათვის და მათი დამუშავების მიმდინარეობის შესახებ გადიდებული ცნობების წარდგენისათვის წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. რ. ვაჭარაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. დაისვას კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე საკითხი სამუშაოდან მისი მოხსნის შესახებ.

3. ჩაის პლანტაციების დამუშავების დავალებათა დროზე შეუსრულებლობისათვის და მათი დასარევლიანების დაშვებისათვის: წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ი. ლ. ჯიშკარიანს გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით; ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ე. ებანოიძეს გამოეცხადოს საყვედური.

4. წინადადება მიეცეთ საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის, წყალტუბოს და ხობის რაიკომების მდივნებს:

ა) შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაის პლანტაციების დამუშავების მდგომარეობა;

ბ) გააძლიერონ ყურადღება ჩაის ფოთლის კრეფის სწორი ორგანიზაციისადმი, არ დაუშვან მისი გაუხეშება და დანაკარგი, რისთვისაც მოაწყონ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა;

გ) ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობაში პლანტაციების მიჩენა ბრიგადებისა და რგოლებისათვის სათანადო აქტების შედგენით, ხოლო რგოლებს შიგნით — ნაკვეთების მიჩენა ცალკეულ კოლმეურნეთათვის;

დ) 10 აგვისტომდე უზრუნველყონ ჩაის პლანტაციების გაწმენდა შამბნარისა და სარეველა ბალახებისაგან;

ე) უზრუნველყონ აზოტოვანი სასუქის მეორე დოზის შეტანა ჩაის პლანტაციების მთელ ფართობზე აგროწესებით დადგენილ ვადებში; დააწესონ კონტროლი სასუქის დანიშნულების მიხედვით გამოყენებისადმი;

ვ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ ჩაის პლანტაციების პირველი და მეორე კულტივაცია და ამ მიზნით მაქსიმალური დატვირთვით გამოიყენონ მტს-ების ტრაქტორები;

ზ) გვალვიან პერიოდებში ჩაის პლანტაციების მორწყვისათვის გამოიყენონ არსებული წყლის რესურსები.

5) წინადადება მიეცეთ საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის, ხობისა და წყალტუბოს რაიკომების მდივნებს გაგზავნონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები და სპეციალისტები მათთვის დახმარების გასაწევად და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში არსებული ჩამორჩენის თავის დროზე ლიკვიდაციას.

6) მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის წარუდგინონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

წულუკიძის, წყალტუბოს და ხობის რაიონებში ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის არადამაკმაყოფილებელ მიმდინარეობას წულუკიძის, წყალტუბოს და ხობის რაიონებში.

მიმდინარე წლის 26 ივლისისათვის ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია წულუკიძის რაიონში 65,8 პროცენტით, ხობის რაიონში 58,8 პროცენტით და წყალტუბოს რაიონში 59 პროცენტით, ამასთან მოკრეფილი ჩაის ფოთლის საერთო რაოდენობიდან მეორე ხარისხი შეადგენს წულუკიძის რაიონში 24,7 პროცენტს, ხობის რაიონში 25,9 პროცენტს და წყალტუბოს რაიონში 14,4 პროცენტს.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, აღნიშნული რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, აგრეთვე კოლმეურნეობათა გამგეობები სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დამუშავებასა და მოვლას. მთელ რიგ შემოწმებულ კოლმეურნეობებში პლანტაციები სრულიად დაუმუშავებელია, კულტივაცია ტარდება უხარისხოდ, ცალკეულ ნაკვეთებზე შეტანილი არ არის აზოტოვანი სასუქი და ჩაის ბუჩქები დაჩაგრულია სარეველა ბალახებით. ეს ფართობი არც ერთხელ არ გათოხნილა. ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა ივლისში კოლმეურნეობამ 15 რიცხვისათვის მხოლოდ 17,4 პროცენტით შეასრულა.

იმავე რაიონის სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ჯიშკარიანი) 90 ჰექტარ ჩაის პლანტაციებიდან შემოწმების მომენტისათვის გათოხნილი არ იყო 50 ჰექტარი.

წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში (კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. კინწურაშვილი) 65 ჰექტარ ჩაის პლანტაციებიდან 27 ჰექტარი დასარევლიანებულია და მოსავალს არ იძლევა. არც აზოტოვანი სასუქია შეტანილი, თუმცა კოლმეურნეობა ამ სასუქის საკმაო რაოდენობით არის უზრუნველყოფილი.

ხობის რაიონის კოლმეურნეობებში 15 ივლისისათვის მეორე გათოხნა არ ჩატარებულა 170 ჰექტარზე, მეორე კულტივაცია — 435 ჰექტარზე, მინერალური სასუქის მეორე დოზის შეტანა—456 ჰექტარზე. ამავე რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 190 ჰექტარ ჩაის პლანტაციებიდან 110 ჰექტარზე ჩატარებულია მხოლოდ მწკრივთაშორის ხვნა. ჩაის ბუჩქები დაჩაგრულია სარეველა ბალახით.

ასეთივე მდგომარეობაა ჩაის პლანტაციების მოვლის საქმეში წყალტუბოს რაიონის სოფელ ცხუნკურის კალინინის სახელობის და კომკავშირის სახელობის, წულუკიძის რაიონის სოფელ დედალაუროს ბერიას სახელობის, სოფელ კუხის ვოროშილოვის სახელობის და სოფელ გუბის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ პარტიის რაიკომების მდივნები და რაიაღმასკომების თავმჯდომარეები წულუკიძის რაიონისა (ამხ. ობოლაძე და ჩიქოვანი), ხობის რაიონისა (ამხ. სიორდია და ლატარია) და წყალტუბოს რაიონისა (ამხ. ჭახრაკია და მეფარიშვილი) საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და მოვლის გაუმჯობესების საკითხებს და გადამწყვეტ ზომებს არ იღებენ იმ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების წინააღმდეგ, რომლებიც შლიან საწარმოო დავალებათა შესრულებას ჩაის დარგში.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. ჩაის პლანტაციების დამუშავების ღონისძიებათა თავის დროზე ჩატარების შეუფასებლობისათვის საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის რაიკომის მდივანს ამხ. ვ. ობოლაძეს და რაიაღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ამხ. ა. ჩიქოვანს, საქართველოს კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის მდივანს ამხ. მ. სიორდიას და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ვ. ლატარიას—მიეთითოთ.

2. ჩაის პლანტაციების დამუშავების ჩაშლისათვის და მათი დამუშავების მიმდინარეობის შესახებ გადიდებული ცნობების წარდგენისათვის წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. მ. რ. ვაჭარაძეს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. დაისვას კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე საკითხი სამუშაოდან მისი მოხსნის შესახებ.

3. ჩაის პლანტაციების დამუშავების დავალებათა დროზე შეუსრულებლობისათვის და მათი დასარევლიანების დაშვებისათვის: წულუკიძის რაიონის სოფელ გუბის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ი. ლ. ჯიშკარიანს გამოეცხადოს საყვედური პირად საქმეში შეტანით; ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ამხ. ე. ებანოიძეს გამოეცხადოს საყვედური.

4. წინადადება მიეცეთ საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის, წყალტუბოს და ხობის რაიკომების მდივნებს:

ა) შეამოწმონ ყველა კოლმეურნეობაში ჩაის ფოთლის კრეფისა და ჩაის პლანტაციების დამუშავების მდგომარეობა;

ბ) გააძლიერონ ყურადღება ჩაის ფოთლის კრეფის სწორი ორგანიზაციისადმი, არ დაუშვან მისი გაუხეშება და დანაკარგი, რისთვისაც მოაწყონ ჩაის ფოთლის განუწყვეტელი კრეფა;

გ) ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყონ ყველა კოლმეურნეობაში პლანტაციების მიჩენა ბრიგადებისა და რგოლებისათვის სათანადო აქტების შედგენით, ხოლო რგოლებს შიგნით — ნაკვეთების მიჩენა ცალკეულ კოლმეურნეთათვის;

დ) 10 აგვისტომდე უზრუნველყონ ჩაის პლანტაციების გაწმენდა შამბნარისა და სარეველა ბალახებისაგან;

ე) უზრუნველყონ აზოტოვანი სასუქის მეორე დოზის შეტანა ჩაის პლანტაციების მთელ ფართობზე აგროწესებით დადგენილ ვადებში; დააწესონ კონტროლი სასუქის დანიშნულების მიხედვით გამოყენებისადმი;

ვ) უახლოეს დღეებში დაამთავრონ ჩაის პლანტაციების პირველი და მეორე კულტივაცია და ამ მიზნით მაქსიმალური დატვირთვით გამოიყენონ მტს-ების ტრაქტორები;

ზ) გვალვიან პერიოდებში ჩაის პლანტაციების მორწყვისათვის გამოიყენონ არსებული წყლის რესურსები.

5) წინადადება მიეცეთ საქართველოს კ. პ. (ბ) წულუკიძის, ხობისა და წყალტუბოს რაიკომების მდივნებს გაგზავნონ ჩამორჩენილ კოლმეურნეობებში რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები და სპეციალისტები მათთვის დახმარების გასაწევად და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლმეურნეობებში ჩაის პლანტაციების დამუშავებისა და ჩაის ფოთლის კრეფის საქმეში არსებული ჩამორჩენის თავის დროზე ლიკვიდაციას.

6) მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის წარუდგინონ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ამ დადგენილების შესრულების შესახებ.

ჩაის კრეფა საბჭოთა მეურნეობებში

1 აგვისტოსათვის საბჭოთა მეურნეობებში ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა, წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით, შესრულებულია 100,5 პროცენტით, წლიური — 67,2 პროცენტით.

ლესიჭინის საბჭოთა მეურნეობაში თვიური დავალება 151 პროცენტით არის შესრულებული, წალენჯიხის საბჭოთა მეურნეობაში — 149,8, დიდი ჭყონის — 132, ხეცერის — 124,6, მოქვის — 123,4, ინგირის — 120,8, ნარაზენის — 101,6, აჩიგვარის — 100,4, ლაითურის — 99,5, ოჩხამურის — 88,1, წულუკიძის — 87,3, ჩაქვის — 81,2, გონიოს — 80,3, ცეცხლაურის — 75,5, ნასაკირალის — 75,1, ნატანების — 73,3, სალიბაურის — 61,8, აჭარის ჩაის ტექნიკუმის მეურნეობაში — 90 პროცენტით.

ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნის შესახებ მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში

(საუბარი საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების მინისტრთან ამხ. ვ. კუპრაძესთან)

მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში 1949-1950 სასწავლო წლისთვის ქართველი ახალგაზრდობის გაგზავნის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ამხ. ვ. კუპრაძემ განაცხადა:

კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის წინსვლა მოითხოვს ახალგაზრდობის ტექნიკური ცოდნით შეიარაღებას. ჩვენმა ახალგაზრდობამ გადაჭრით უნდა გაძლიეროს ყურადღება ტექნიკური მეცნიერების დაუფლებისადმი.

საბჭოთა მეცნიერები უფრო და უფრო ღრმად სწვდებიან ბუნების საიდუმლოებას, წარმატებით წყვეტენ თანამედროვე მეცნიერების წინაშე მდგომ ურთულეს პრობლემებს და ამით მკვიდრ საფუძველს უქმნიან სოციალისტური სახალხო მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ლენინ-სტალინის პარტიის წინამძღოლობით ჩვენმა ქვეყანამ ტექნიკის უდიდეს განვითარებას მიაღწია. ინდუსტრიალიზაციის სტალინური პოლიტიკის განხორციელებამ უზრუნველყო ჩვენი ქვეყნის როგორც ეკონომიური, ისე ტექნიკური დამოუკიდებლობა კაპიტალისტური ქვეყნებისაგან.

უმაგალითო სისწრაფით განვითარდა ჩვენში ტექნიკური მეცნიერება. გამრავლდნენ უმაღლესი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო სასწავლებლები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, ლაბორატორიები; ფართოდ გაიშალა საკვლევაძიებო სამუშაოები; ათეულ ათასობით აღიზარდნენ ტექნიკას დაუფლებული ადამიანები—ინჟინრები, მათემატიკოსები, ფიზიკოსები, ბუნებისმეტყველები. სწორედ საბჭოთა ტექნიკის განვითარებამ მოგვცა შესაძლებლობა აგვეშენებინა სოციალიზმი და შეგვექმნა კომუნიზმის მტკიცე ფუნდამენტი. სწორედ საბჭოთა ტექნიკის უმაღლესმა მიღწევებმა მოგვცა შესაძლებლობა გამარჯვებით დაგვემთავრებინა დიდი სამამულო ომი.

ჩვენი ქვეყნის მათემატიკოსებმა და ფიზიკოსებმა, საბჭოთა მეცნიერებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს მსოფლიო მეცნიერების საგანძურში. ჩვენმა მეცნიერებმა ტექნიკის მრავალ დარგში უკან მოიტოვეს საზღვარგარეთული მეცნიერების მიღწევები.

როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში, ისე საქართველოშიც დიდად განვითარდა ტექნიკური მეცნიერება. ამჟამად ჩვენ გვყავს მსოფლიო მასშტაბის ბევრი მეცნიერი. საქართველოში არსებობს მძლავრი მათემატიკური სკოლა, რომლის მრავალი ღირსეული წარმომადგენელი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტებზე მუშაობს. ჩვენს რესპუბლიკაში არსებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მრავალი მოწინავე ახალგაზრდა წარმატებით ეუფლება მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის მეცნიერებას, მაგრამ ამ მიღწევებით არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ.

ჩვენს რესპუბლიკაში ტექნიკურ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1948 წლის 21 სექტემბრის დადგენილებისა და საქართველოს ლენინური კომკავშირის XVII ყრილობაზე ახალგაზრდობის ტექნიკური ცოდნის ამაღლების შესახებ ამხანაგ ჯანდიდ ჩარკვიანის მითითების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული.

შარშან მოსკოვის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გაიგზავნა 100-მდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქართველი ახალგაზრდა. ბევრი მათგანი წარმატებით სწავლობს.

წელსაც მიმდინარეობს ახალგაზრდების ორგანიზებულად გაგზავნა მოსკოვის შემდეგ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში: ლომონოსოვის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულტეტზე, მოლოტოვის სახელობის ლენინის ორდენოსან ენერგეტიკულ ინსტიტუტში, გუბკინის სახელობის ნავთობის ინსტიტუტში, სტალინის სახელობის ფოლადის ინსტიტუტში, მენდელეევის სახელობის ქიმია-ტექნოლოგიის ინსტიტუტში, კუიბიშევის სახელობის წითელი დროშის ორდენოსან საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტში, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, საფეიქრო ინსტიტუტში, კვების მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში, მოლოტოვის სახელობის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტში, ავტომექანიკურ და მექანიკურ ინსტიტუტებში, სტალინის სახელობის დაზგათმშენებლობის ინსტიტუტში, ბაუმანის სახელობის წითელი დროშის ორდენოსან უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში და ორჯონიკიძის სახელობის ლენინის ორდენოსან საავიაციო ინსტიტუტში.

დასახელებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მისაღები გამოცდები ჩატარდება თბილისში — სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

განცხადება მიიღება 12 აგვისტომდე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კანცელარიაში (მარის ქ. № 3, მე-2 კორპუსი).

იმ პირთათვის, რომელნიც განცხადებას შემოტანენ 12 აგვისტომდე, გამოცდები იწარმოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო კომისიაში. გამოცდები დაიწყება 12 აგვისტოს დილის 9 საათზე და დამთავრდება 18 აგვისტოს.

განცხადების შემოტანა შეუძლია იმასაც, ვისაც განცხადება შეტანილი აქვს თბილისის სხვა უმაღლეს სასწავლებელში, ანდა უკვე ჩარიცხულია (მედალოსნები).

18-20 აგვისტოს იწარმოებს ჩარიცხვა. ჩაირიცხებიან ისინი, რომელნიც ყველა საგანში მიიღებენ შეფასებას არანაკლებ 4-სა. ჩარიცხულნი მოსკოვსა და ლენინგრადში გაემგზავრებიან 25-26 აგვისტოს. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიითა და საერთო საცხოვრებლით. გარდა ამისა, ის სტუდენტები, რომელნიც ყველა სავალდებულო საგანს თავის დროზე და კარგად ჩააბარებენ, ყოველწლიურად მიიღებენ განათლების სამინისტროდან ერთდროულ დახმარებას. ამ მიზნისათვის საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილია საჭირო თანხები.

მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გაიგზავნებიან აგრეთვე ის პირნი, რომლებიც ჩააბარებენ სათანადო გამოცდებს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სურვილი აქვთ ისწავლონ მოსკოვის ან ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლებში. მსურველებმა ამის შესახებ უნდა მიმართონ ამავე ინსტიტუტის დირექციას.

პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული და განათლების ორგანოების ვალია ყოველმხრივ ხელი შეუწყონ ახალგაზრდობის სწრაფვას მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლებისაკენ.

თბილისის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილ წერილში საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის რაიკომის მდივანი ამხ. კობახიძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მიგრიაული იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 4 აგვისტოსათვის 100,4 პროცენტით შეასრულეს მარცვლეულის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

მარცვლეულის ჩაბარება გრძელდება.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობებმა შეასრულეს პურეულის მოსავლის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში საქართველოს კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი ამხ. ნუცუბიძე და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ბუცხრიკიძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა 31 ივლისისათვის დაამთავრეს თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება და 3 აგვისტოსათვის პურის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შეასრულეს 100,8 პროცენტით, აქედან სავალდებულო ჩაბარებისა — 100,4 პროცენტით, მტს-ების ნატურგადასახადის — 102 პროცენტით.

პურის დამზადება გრძელდება.

პარტიული ცხოვრება

მარქსისტულ-ლენინური სწავლების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

გასული სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში ქუთაისის საქალაქო პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებებით დასრულა. კიდევ უფრო გაიზარდა კომუნისტების მისწრაფება იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისადმი. მეტწილ სკოლებსა და წრეებში მეცადინეობა ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე ტარდებოდა.

სკოლებსა და წრეებში პოლიტიკური სწავლების ხარისხს, მის იდეურ-თეორიულ დონეს, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს პროპაგანდისტი. საქალაქო პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა პროპაგანდისტთა შერჩევას და მომზადებას. პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩაბმულ იქნენ თეორიულად ყველაზე უფრო მომზადებული კომუნისტები. 164 პროპაგანდისტიდან 135 კაცი უმაღლესი განათლების მქონეა. თვითეულ პროპაგანდისტს, ვიდრე პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურო დაამტკიცებდა, პირადად ამოწმებდა საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. ამ ღონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი პროპაგანდისტთა კადრების შემადგენლობის გაუმჯობესებას.

პროპაგანდისტებისათვის შექმნილ მუდმივმოქმედ სემინარებში მეცადინეობა სასწავლო გეგმის ზუსტად დაცვით მიმდინარეობდა. გეგმით გათვალისწინებულ თემებზე პროპაგანდისტები ისმენდნენ სემინარის ხელმძღვანელთა კვალიფიციურ ლექციებს, იღებდნენ მეთოდურ მითითებებს მოცემული მასალის საფუძვლიანად შესწავლის და სწავლების დროს თვალსაჩინოების საშუალებათა გამოყენების შესახებ. მეცადინეობისათვის მზადების პროცესში პროპაგანდისტებს კარგად ეხმარებოდა საქალაქო პარტკაბინეტი. აქ მათთვის მოწყობილია „პროპაგანდისტის კაბინეტი“, სადაც სკოლებისა და წრეების ხელმძღვანელთა და მსმენელთა დასახმარებლად გამოკრულია თემები, ცხრილი მთელი სასწავლო წლისათვის, ცალკეული თემების მიხედვით ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის სია და გამოფენილია თვით ლიტერატურა. აქვეა წარმოდგენილი სქემები, დიაგრამები, რუკები, ალბომები, ქალაქის მრეწველობის პროდუქციის ნიმუშები მხატვრულად გაფორმებულ ცალკე სტენდებში, და საწარმოო გეგმების შესრულების ციფრობრივი მაჩვენებლები. ცალკე განყოფილებად წარმოდგენილია გამოფენა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში“. მოწყობილია აგრეთვე გამოფენა, რომელიც ასახავს საქართველოს სს რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის ახალ მძლავრ აღმავლობას მიმდინარე ხუთწლედში.

პროპაგანდისტებისათვის პერიოდულად ეწყობა ლექციები. სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობაზე, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საკითხებზე და სხვა აქტუალურ თემებზე. აქტივის კრებებზე, თათბირებზე, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე მოხსენებებით გამოდიან პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივნები. სისტემატურად ვაწყობთ პროპაგანდისტებისა და ლექტორ-მომხსენებლების შეკრებებს.

სემინარების ხელმძღვანელები ხშირად პირადად ამოწმებდნენ პოლიტსკოლების და წრეების მუშაობას, ეწყობოდა პროპაგანდისტთა თათბირები, ტარდებოდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. რამდენჯერმე მოეწყო პროპაგანდისტთა ურთიერთ დასწრება მეცადინეობაზე.

პარტიული ორგანიზაციების მიერ პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის გაძლიერებამ ხელი შეუწყო სკოლებსა და წრეებში მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებას. პოლიტსკოლებსა და წრეებში მეცადინეობა ცოცხალი საუბრის მეთოდით მსმენელთა აქტიური მონაწილეობით ტარდებოდა. მსმენელთა უმრავლესობა კარგად დაეუფლა წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას.

სასწავლო წლის ბოლოს ჩატარებული შემაჯამებელი მეცადინეობის შედეგად 52 პოლიტსკოლიდან გამოშვებულ იქნა 46 სკოლა, 6 პოლიტსკოლა მუშაობას განაგრძობს ახალი სასწავლო წლიდან. ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი 29 წრიდან გამოშვებულია 25.

ქალაქში 2.000-ზე მეტი კომუნისტი დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ამთვალ ნაწილი ჩაბმულია პარტიულ-საბჭოთა აქტივის მუდმივმოქმედ სემინარებსა და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს ორწლიან უნივერსიტეტში. კარგად მუშაობს და სერიოზულ დახმარებას უწევს ჩვენს კადრებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი (დირექტორი დოცენტი დ. ბრეგაძე). უნივერსიტეტში 280 კაცი სწავლობს.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვნად გაძლიერეს დახმარება და კონტროლი მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგებისადმი. ეწყობოდა ლექციები მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ცალკე ნაწარმოებებზე „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ მიხედვით. ლექციები და კონსულტაციები ტარდებოდა აგრეთვე დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე. ამ ბოლო დროს მეტი რაოდენობით იკითხება ლექციები მეცნიერულ-ათეისტურ თემებზე. გასულ სასწავლო წელს მარტო საქალაქო კომიტეტის ლექტორების მიერ წაკითხულია 170-მდე ლექცია, რომელთაც 15 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. პარტკაბინეტის მიერ ჩატარებულია 110 ჯგუფური და ორი ათასამდე ინდივიდუალური კონსულტაცია.

პირველად პარტიულ ორგანიზაციებში 187 კონსულტანტი მუშაობს. თვითეული მათგანი კონსულტაციას უწევს დამოუკიდებლად მომუშავე 5-10 კომუნისტს. გამოცდილებამ ცხადყო, რომ წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისადმი კონტროლისა და დახმარების უფრო ეფექტიან ფორმას წარმოადგენს ინდივიდუალური კონსულტაცია. სასწავლო წლის მანძილზე კონსულტანტებმა კომუნისტებს გაუწიეს საშუალოდ 18-20 კონსულტაცია.

ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ „საჭიროა სისტემატურად შევამოწმოთ პარტიული პროპაგანდის მდგომარეობა და აღმოვფხვრათ გამოვლინებული ნაკლოვანებანი. უნდა მივაღწიოთ, რომ მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი მოძღვრების პროპაგანდას ეწეოდნენ მომზადებული, უნარიანი და ამ საქმის მოყვარული ამხანაგები“.

ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ამ მითითების შესასრულებლად, სასწავლო წლის განმავლობაში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 30-ჯერ განიხილა კომუნისტების პოლიტიკური სწავლების საკითხი. საავტომობილო ქარხნის მოქმედი საამქროების, საავტომობილო ქარხნის მშენებლობის, მანქანათმშენებელი ქარხანა „მაღაროელის“, ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის, ლიტოპონის ქარხნის, რიონჰესის და მთელი რიგ სხვა პარტიულ ორგანიზაციებში შესამჩნევად გაუმჯობესდა კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება.

გასულ სასწავლო წელს ზოგიერთ პირველადს პარტიულ ორგანიზაციას მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა. ზოგ პოლიტსკოლასა და წრეში მეცადინეობა არ ტარდებოდა სასწავლო გეგმის მიხედვით, მსმენელები მეცადინეობას აცდენდნენ, ზოგიერთი პროპაგანდისტი სისტემატურად არ მუშაობდა თავისი იდეური დონის ამაღლებისათვის, არ მონაწილეობდა სემინარულ მუშაობაში.

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობამ პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა კომუნისტთა პარტიული განათლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაძლიერება, პოლიტსკოლების, წრეების, მუდმივმოქმედი სემინარიების, ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრეების მუშაობის ხარისხის სისტემატური გაუმჯობესება და კომუნისტთა დამოუკიდებელი სწავლის საკითხებისადმი ყურადღების გაძლიერება. ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია ყველა ღონისძიებას ატარებს იმისათვის, რომ განუხრელად განახორციელოს ყრილობის ეს მითითებანი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესაბამისად საქალაქო კომიტეტის ბიურომ და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დროულად განიხილეს პარტიული განათლების სისტემაში გასული სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხი. მოეწყო პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, უკვე დაზუსტებულია თუ პარტიული სწავლების რომელ ფორმაში იმეცადინებს ესა თუ ის კომუნისტი ახალი სასწავლო წლიდან. ხდება სკოლებისა და წრეების დაკომპლექტება. პარტიული ორგანიზაციები სერიოზულ ყურადღებას აქცევენ სკოლებისა და წრეების მსმენელთა შემადგენლობის შენარჩუნებას, ახდენენ კონსულტანტთა და პროპაგანდისტთა გადასინჯვას. სასწავლო გეგმის შესაბამისად მუშაობს პროპაგანდისტთა სამთვიანი კურსები, რაც დიდად შეუწყობს ხელს პროპაგანდისტთა კადრების თეორიული მომზადების დონის ამაღლებას და სკოლებისა და წრეების მუშაობის მაღალ იდეურ დონეზე დაყენებას.

ჩვენ ფართოდ გამოვიყენებთ გასულ სასწავლო წელს დაგროვილ გამოცდილებას, აღმოვფხვრით ნაკლოვანებებს, აქედანვე გავშლით მუშაობას, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ პარტიული განათლების სისტემაში ახალ სასწავლო წელს.

გ. რუხაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში

დახმარება რაციონალიზაციურებსა და გამომგონებლებს

საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა კვების მრეწველობის საწარმოებში გამომგონებლებისა და რაციონალიზატორების მუშაობის საკითხი. აღნიშნა, რომ იმ საწარმოებს, სადაც გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს ეხმარებიან, მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ. თბილისის თამბაქოს პირველ ფაბრიკაში, მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლოსათვის განხორციელებული იყო 24 რაციონალიზატორული წინადადება და ამის შედეგად მიღებული ჰქონდათ 216.800 მანეთი ეკონომია. თამბაქოს მეორე ფაბრიკაში რაციონალიზატორული მუშაობის კარგად დაყენების შედეგად მიიღეს 60.100 მანეთი ეკონომია, ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში, რომელიც კვების მრეწველობისათვის საჭირო მანქანებსა და მოწყობილობას ამზადებს, — 185.000 მანეთი და ა. შ.

არიან ისეთი საწარმოებიც, მაგალითად, პირველი პურსაცხობი ქარხანა, ოვინის პირველი ქარხანა, კონიაკის ქარხანა და სხვები, სადაც მუშა და ინჟინერ-ტექნიკოს რაციონალიზატორებს შორის მუშაობას ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ. ამ საწარმოებში რაციონალიზატორულ წინადადებათა შემოტანის ხალისი მუშებს ნაკლები აქვთ, ვინაიდან ვინც ასეთი წინადადება შეიტანა, მათი მიღებისა და განხორციელების შემდეგაც კი წინადადებათა ავტორებს არ მიუღიათ კუთვნილი ანაზღაურება.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა კვების მრეწველობის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დაუყოვნებლივ მიაღწიოს გარდატეხას რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს შორის მუშაობაში.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წინადადებით მოკლე ხანში უნდა მოეწყოს სემინარები გამომგონებლობისა და რაციონალიზატორული მუშაობის ხელშემწყობი კომისიების ხელმძღვანელთა მოსამზადებლად, გაიშალოს საწარმოთა კოლექტივებში ახსნაგანმარტებითი მუშაობა, სისტემატურად მოეწყოს საწარმოთა რაციონალიზატორების თათბირები და ინჟინერ-ტექნიკოსთა დახმარებით დამუშავდეს თემატიკა წარმოების იმ საკითხებზე, რომელთა მოწესრიგებაც ხელს შეუწყობს ახალ საწარმოო წარმატებათა მოპოვებას.

გამოცდილების ურთიერთგაზიარება ფაბრიკებს შორის

საქართველოს მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ამ ბოლო დროს მასობრივი ხასიათი მიიღო ახალმა მოძრაობამ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, ნედლეულისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობით ხარჯვის მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვისათვის. მაგალითად, თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკაში ჩამოყალიბებულია პირველხარისხოვანი პროდუქციის გამომშვები 87 ბრიგადა და აქედან 33 ბრიგადა მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას იძლევა. ასეთი ბრიგადები არსებობენ მთელ რიგ სხვა საფეიქრო საწარმოებშიც.

როგორ ეხმარებიან ამ ბრიგადებს ადგილობრივი საფაბრიკო პროფორგანიზაციები, როგორ აწყობენ ნოვატორთა შრომის მეთოდების პოპულარიზაციას, რა ნაკლოვანებებია ამ მხრივ და რა უნდა გაკეთდეს მომავალში იმისათვის, რომ საწარმოთა კოლექტივებმა მეტი წარმატებით გაანადგურონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი — ეს საკითხი განიხილა პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა.

ამ საკითხზე პრეზიდიუმის დადგენილებაში კარგი შეფასება მიიღო თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის პროფორგანიზაციამ (ფაბკომის თავმჯდომარე ლიდა თხელიძე). ამასთან აღნიშნულ იქნა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის პროფორგანიზაციის სუსტი მუშაობა (ფაბკომის თავმჯდომარე ქეთო ჭუმბურიძე), აგრეთვე მთელ რიგ სხვა საწარმოთა ძირეული პროფორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა.

საფეიქრო საწარმოთა პროფორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ საწარმოთა ხელმძღვანელების მხრივ ყველა იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელება, რომლებიც მუშებს გაუადვილებენ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ნედლეულისა და დამხმარე მასალების მომჭირნეობისათვის, აგრეთვე მანქანა-დანადგართა სრული სიმძლავრით გამოყენებისა და მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვისათვის ბრძოლას.

საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა კავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს რჩევა მიეცა მოაგვაროს წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ურთიერთგაზიარება ყოველ ცალკე საწარმოში, აგრეთვე სისტემატურად მოაწყოს წარმოების ნოვატორებისა და მოწინავე სტახანოველების საფაბრიკათაშორისო შეხვედრები.

მშენებელ-მემონტაჟეთა წარმატება

ქუთაისი. (საკ. კორ.). „საქელექტროქსელმშენის“ ქუთაისის კანტორა, რომელიც დასავლეთ საქართველოს რაიონებს უწევს მომსახურებას, წარმატებით აწარმოებს გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების მშენებლობას. წელს აქ ფართოდ დანერგეს მუშაობის ჩქაროსნული მეთოდი და გააუმჯობესეს სამუშაოთა ხარისხი.

განვლილ 6 თვეში კანტორის კოლექტივმა მაღალნაყოფიერად იმუშავა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა 145,5 პროცენტით შეასრულა, 16 პროცენტით შეამცირა თვითღირებულება და 60 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება.

კანტორის კოლექტივმა ნახევარი წლის შედეგების მიხედვით გაიმარჯვა თბილისელებთან შეჯიბრებაში, პირველ ადგილზე გამოვიდა ამიერკავკასიაში და 30 ათასი მანეთი ფულადი პრემია მიიღო.

ამ წარმატების მოპოვებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს კანტორის უფროსმა ა. გიგინეიშვილმა, მთავარმა ინჟინერმა ლ. კალანდაძემ, ინჟინერ-ენერგეტიკოსმა გ. წულუკიძემ, ბრიგადირებმა ს. მაწკეპლიძემ, ვ. გოგიშვილმა, ელექტრომონტიორმა გ. ავალიანმა და სხვებმა.

მშენებლებმა წარმატებით იმუშავეს ივლისშიც.

როცა ბიბლიოთეკებს არ ხელმძღვანელობენ

იმ შენობაში, რომელიც ზესტაფონის რაიონის [illegible] აღმასკომია მოთავსებული, ყველაზე პატარა ოთახი დათმობილი აქვს ბიბლიოთეკას. ოთახში დგას ერთი მაგიდა, ერთი სკამი და ერთიც წიგნის კარადა. როცა ოთახში მკითხველი შემოდის, ბიბლიოთეკის გამგე ევა ხარებოვა სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში მიდის, რომ იქიდან სკამი მოიტანოს. საერთოდ კი მკითხველები ბიბლიოთეკაში იშვიათად მიდიან, რადგან იქ არსებული ყველა საინტერესო წიგნი კარგა ხანია წაიკითხეს. კარადაში ასიოდე წიგნი აწყვია მხოლოდ. კოლმეურნეების პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურის გარდა აინტერესებთ წიგნები და ბროშურები საბჭოთა აგრონომიის მიღწევების შესახებ, შაქრის ჭარხლის, ვენახის, ხეხილის ბაღის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლის წესების შესახებ. ასეთი ლიტერატურა კი ბიბლიოთეკას არ გააჩნია.

აქ ერთადერთი შაში აქვთ. კოლმეურნეებს მოსწყინდათ შაშის თამაში და ბიბლიოთეკაში აღარ მოდიან, რადგან აქ არც ერთი თვითმოქმედი წრე აღარ მუშაობს.

ბიბლიოთეკის გამგე ევა ხარებოვა უფერულად და უშინაარსოდ ატარებს საბუშაო საათებს. მსგავსი მდგომარეობაა ზნაურის რაიონის ავნევის სასოფლო საბჭოს ბიბლიოთეკაში. ამ ბიბლიოთეკის გამგე ქსენია გაბარაევაც თავის მოვალეობას მხოლოდ იმით განსაზღვრავს, რომ სამუშაო საათებში ღია ჰქონდეს ბიბლიოთეკის კარი. მკითხველთა სურვილებს იგი ანგარიშს არ უწევს. ბიბლიოთეკასთან არ არსებობს არც ერთი თვითმოქმედი წრე. ოთხი თვეა რაც ქსენია გაბარაევა ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს. მან ამ ხნის განმავლობაში მკითხველებთან მხოლოდ ორჯერ მოაწყო გაზეთის ხმამაღალი კითხვა. ეს იყო და ეს.

ბიბლიოთეკა ღარიბია ლიტერატურით. მართალია, უკანასკნელ ხანებში შეიძინეს წიგნები, მაგრამ არ გაითვალისწინეს რა მკითხველთა მოთხოვნილება, შეძენილ წიგნებს შორის ინგლისური და ფრანგული წიგნები სჭარბობს.

მშრომელთა დეპუტატების ზნაურის რაისაბჭოს აღმასკომის კულტსაგანმანათლებლო განყოფილება და პირადად მისი გამგე ვ. ხასიევი კონკრეტულად ვერ ხელმძღვანელობენ სასოფლო ბიბლიოთეკებს.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

პურეულის მოსავლის აღება

ივლისის უკანასკნელ წუთდღეებში საქართველოს კოლმეურნეობებმა აიღეს 45.330 ჰექტარი პურეული, სულ 1 აგვისტოსათვის კი აღებულია 191.432 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმის 57,4 პროცენტი.

პურეულის ძოსავლის აღება დამთავრებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკასა და 13 რაიონში.

მაიაკოვსკის, გურჯაანისა და ბოლნისის რაიონებში დავალება 99,5-მდე პროცენტით არის შესრულებული, დმანისის რაიონში—28,3, საგარეჯოს —58,4, მარნეულის—78,6, მცხეთის — 57,5, თბილისის—77,5, კაჭრეთის — 78,7, თიანეთის—5, თეთრი წყაროს — 57,7, დუშეთის—32,6, წალკის — 0,2, ბორჯომის—12, კასპის—66,3, გორის —54,8, ქარელის—61, ხაშურის—76, ასპინძის—33, ადიგენის—36,3, ახალციხის—71,9, ახალქალაქის—2,6, ცაგერის — 68,8, ამბროლაურის — 61,9, ონის—45,2, ორჯონიკიძის—41, საჩხერის—53,1, ჭიათურის—55,9, სამხრეთ ოსეთში—24,6 პროცენტით.

კომბაინით მოსავლის აღების რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 86,9 პროცენტით. დავალება გადაჭარბებით შეასრულეს ლაგოდეხის, ბოლნისის, გარდაბნის, ყვარლის, ახმეტის, გურჯაანისა და თეთრი წყაროს რაიონების მტს-ებმა. წითელწყაროს რაიონში გეგმა შესრულებულია 97,4 პროცენტით, სიღნაღის—96,6, კაჯრეთის—86,7, კასპის—61,1, გორის — 48,7, ქარელის—47,5, ხაშურის—45,8, თბილისის—98,3, მცხეთის—85,3, მარნეულის—78,7, საგარეჯოს—66,8, დმანისის—25, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში—23,7 პროცენტით.

ფეხბურთი

3 აგვისტოს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

თამაშის პირველ ნახევარში სპარტაკელებს ჰქონდათ დიდი უპირატესობა. ისინი ადვილად არღვევდნენ დინამოელთა დაცვის ხაზს და ზუსტად ურტყამდნენ კარში. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 3:0 მოსკოველთა სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარში თბილისელებმა გაუმჯობესეს თამაში და კიდეც გაიტანეს ორი ბურთი მოსკოველთა კარში. სპარტაკელები კი დაკმაყოფილდნენ მიღწეულით და თავდაცვაზე გადავიდნენ. თამაშის ბოლო წუთებში დინამოელებს იერიში ეერიშზე მიჰქონდათ მოწინააღმდეგის კარზე, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ შესძლეს.

ამრიგად, ეს საინტერესო მატჩი დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:2.

ამავე დღეს სტალინგრადში ჩვენი ქვეყნის 1948 წლის ჩემპიონმა „ცდკა“-მ განიცადა დამარცხება ადგილობრივი „ტორპედოს“ გუნდთან, ანგარიშით — 1:3, ხოლო გუშინ, 4 აგვისტოს რიგის „დაუგავამ“ თავის მოედანზე მოუგო მოსკოვის „ვეს“-ს, ანგარიშით — 1:0.

კომუნიზმის მშენებელთა შემოქმედებითი ინიციატივა

ჯერ კიდევ იმ წლებში, როცა ჩვენი პარტია პირველი ხუთწლედის განხორციელებას იწყებდა, ამხანაგმა სტალინმა აღნიშნა:

„ვერავითარი ხუთწლიანი გეგმა ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ შესაძლებლობას, რასაც ჩვენი წყობილება შეიცავს და რომელიც გამოჩნდება მხოლოდ მუშაობის მსვლელობისას, ფაბრიკაში, ქარხანაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, რაიონში გეგმის განხორციელებისას და სხვ.“

მთელმა მსოფლიომ დაინახა, თუ რაოდენ გრანდიოზულია ეს შესაძლებლობანი. პირველი სტალინური ხუთწლიანი გეგმა, როგორც ცნობილია, ოთხ წელიწადსა და სამ თვეში შესრულდა. ასეთსავე ვადაში შესრულდა მეორე ხუთწლიანი გეგმაც. ვადამდე სრულდებოდა დავალებანი მესამე ხუთწლედისა, რომლის განხორციელება შეწყვიტა ომმა, რაც თავს მოგვახვია ჰიტლერულმა გერმანიამ. ომის წლებში ჩვენი მრეწველობა უმაგალითოდ მოკლე ვადებში ასრულებდა ფრონტის ყველა დაკვეთას. როცა ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხალხი ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განხორციელებას შეუდგა, მისი დავალებანი, ომით წარმოშობილი სიძნელეების მიუხედავად, აგრეთვე ვადამდე სრულდება.

ბოლშევიკური პარტია სინამდვილედ აქცევდა და აქცევს ჩვენს წყობილებაში არსებულ შესაძლებლობას, ეყრდნობა რა იმ რეზერვებს, რომლებსაც ავლენს და სოციალიზმის სამსახურში აყენებს მილიონობით მშრომელთა—მუშათა, კოლმეურნეთა, ინტელიგენციის შემოქმედებითი ინიციატივა.

სოციალისტური მეურნეობა გეგმიანი მეურნეობაა. საბჭოთა სახელმწიფოს გეგმები მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული მილიონობით მშრომელთა ცხოვრებასთან, პრაქტიკულ საქმიანობასთან. სწორედ ამიტომ არის ეს გეგმები რეალური, სწორედ ამიტომ სრულდება ისინი ვადამდე და გადაჭარბებით. „გეგმის შედგენა,—გვასწავლის ამხანაგი სტალინი, —მხოლოდ **დასაწყისია დაგეგმვისა.** ნამდვილი გეგმიანი ხელმძღვანელობა იწყება მხოლოდ გეგმის შედგენის შემდეგ, ადგილებზე შემოწმების შემდეგ, გეგმის განხორციელების, გასწორებისა და დაზუსტების მსვლელობაში“.

საბჭოთა ადამიანებისათვის გეგმა ციფრებისა და დავალებათა უბრალო ჩამოთვლა როდია. გეგმის შესასრულებლად მიმართული თავიანთი შრომა და თავიანთი ღონისძიებანი მათ მიაჩნიათ უმნიშვნელოვანეს და საპატიო საზოგადო მოღვაწეობად, გმირობისა და სახელის საქმედ, ისტორიულ შემოქმედებად, კომუნიზმის მშენებლობაში მონაწილეობად.

საბჭოთა ხალხის გაზრდილი სოციალისტური შეგნებულობა და შემოქმედებითი აქტივობა ჩვენი მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მთელი შინარეზერვების ყველაზე სრული და ეფექტიანი გამოყენების ჭეშმარიტად უსაზღვრო შესაძლებლობას იძლევა. ამხანაგ სტალინის მითითებათა მიხედვით, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რომ ჩვენი გეგმები ბოლშევიკური იყოს, რომ ისინი ნავარაუდევი იყოს არა წარმოებაში მიღწეული საშუალო არითმეტიკული ნორმებისათვის, არამედ საშუალო პროგრესიული ნორმებისათვის, ე. ი., რომ ეს გეგმები გეზს იღებდნენ მოწინავეებზე.

სახელმწიფო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების წარმატებას ადამიანები წყვეტენ: გეგმა გეზს უნდა იღებდეს მოწინავე მუშებზე, ინჟინრებსა და ტექნიკოსებზე, რომლებიც გვიჩვენებენ უდიდეს შესაძლებლობებს მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების პროგრესიული ნორმების მიღწევის საქმეში და ამრიგად უზრუნველყოფენ სახელმწიფო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

ავიღოთ მაგალითად ქვანახშირის მრეწველობა. ცნობილია, რომ ამ მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა მისთვის მეორე კვარტალში დაწესებული გადიდებული გეგმა, ამასთან ქვანახშირის მოპოვება 13 პროცენტით გადიდდა გასული წლის მეორე კვარტალთან შედარებით. ეს შედეგია ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა თავდადებული, ნამდვილად პატრიოტული შრომისა, შედეგია იმისა, რომ ისინი მაგალითს იღებდნენ მოწინავეებისაგან, რომელთა რიგები განუწყვეტლივ მატულობს, შედეგია შემოქმედებითი ინიციატივისა, რაც მიმართულია იმ ახალი ტექნიკის ყველაზე ეფექტიანად გამოყენებისაკენ, რომლითაც სახელმწიფო აიარაღებს ქვანახშირის მრეწველობას.

შავი მეტალურგია ჩვენი მძიმე ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი დარგია. მან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა გადიდებული კვარტალური გეგმა: თუჯის წარმოება გასული წლის მეორე კვარტალთან შედარებით 20 პროცენტით გადიდდა, ფოლადის გამოდნობა—27 პროცენტით, ნაგლინის წარმოება—30 პროცენტით, რკინიგზის რელსების წარმოება — თითქმის ერთიორად. საბჭოთა მეტალურგები ბოლშევიკური სიმტკიცით პოულობენ ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების მარგი მოცულობის საუკეთესო გამოყენების, საგლინავი დაზგების ნაყოფიერების გადიდების გზებს. როგორც მაგალითი, შეიძლება დავასახელოთ თუნდაც კუზნეცკის სტალინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის გამოცდილება. ამ კომბინატის კოლექტივმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია მოწყობილობის გამოყენების გასაუმჯობესებლად.

მუშების, კოლმეურნეების, ინტელიგენციის პატრიოტული ინიციატივა დღითი დღე მატულობს, სულ ახალ-ახალ პრაქტიკულ გამოვლინებას პოულობს. ეს არის ის ადამიანთა ინიციატივა, რომელნიც გმირები და ახალი ცხოვრების შემოქმედნი გახდნენ, იმ ადამიანებისა, რომელნიც აღზარდა და შეგნებულ ისტორიულ შემოქმედებაში ჩაბა ლენინ-სტალინის დიადმა პარტიამ. გაიზარდა მათი იდეური დონე, მათი სოციალისტური შეგნებულობა. მათ ისწავლეს თავიანთი ყოველდღიური შრომის საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებთან, კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმესთან პრაქტიკულად დაკავშირება.

ყველა იმ შინაგანი შესაძლებლობის სრული გამოყენება, რაც მრეწველობის ყოველ დარგს, ყოველ საწარმოს, ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას მოეპოვება, შეიძლება მხოლოდ მასების ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე დაყრდნობით. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება სრულად გამოვიყენოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა რეზერვი კომუნიზმის მშენებლობის ტემპის შემდგომი დაჩქარებისათვის.

მაგრამ ამ რეზერვებს ყოველთვის როდი იყენებენ სრულად. ჩვენში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ცალკეული სამეურნეო ხელმძღვანელები, რომლებიც „ვერ ამჩნევენ“ ამა თუ იმ ინიციატივიან წამოწყებას მხოლოდ იმიტომ, რომ მისი განხორციელება დაკავშირებულია დამატებითს საზრუნავთან, ერთგვარ დაძაბვასთან. „მშვიდი“ და უშფოთველი ცხოვრების ასეთ მოყვარულთა მუშაობის სტილს ხელმძღვანელობის ბოლშევიკურ სტილთან საერთო არა აქვს რა.

ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნება ის არის, რომ მასების აღზრდის დროს ყოველდღიურად ვსწავლობდეთ მათგან, ხელს ვუწყობდეთ ყოველ ძვირფას წამოწყებას, ფართოდ და მტკიცედ ვავრცელებდეთ მოწინავეთა გამოცდილებას. ეს ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს ყოველმხრივ განამტკიცონ კავშირი მასებთან, მუდამ იხელმძღვანელონ ამხანაგ სტალინის მითითებით, რომ შეუძლებელია შეასრულოთ ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისა, მილიონობით მშრომელთა პირდაპირი და სისტემატური დახმარების უქონლად.

მშრომელების — მგზნებარე საბჭოთა პატრიოტების, კომუნიზმის გმირი მშენებლების — შემოქმედებითი ინიციატივა დიადი ძალაა საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის“ 4/VIII მოწინავე.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

კარგი მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალი

მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის საჭიროება ჩვენში მწვავედ იგრძნობა. ასეთ ლიტერატურას ჩვენი მრეწველობის (და არა მარტო მრეწველობის) მუშათა და ტექნიკოსთა ახალი კადრების აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ქართულ ენაზე არავითარი, ან თითქმის არავითარი სერიოზული მეცნიერულ-პოპულარული ბროშურაც კი არ მოიპოვება ქვანახშირის მრეწველობის, ჰიდროტექნიკის, მელიორაციაირიგაციის, მეტალურგიის და მეცნიერებისა და ტექნიკის მთელ რიგ სხვა საკითხებზე.

ამავე დროს, როგორც ცნობილია, ქვანახშირის მრეწველობაში ყოველწლიურად ათასობით ახალგაზრდა მიდის სამუშაოდ, რათა სახელოვან მეშახტეებად აღიზარდონ. დიდი ლტოლვაა მანქანათა და დაზგათმშენებლობის ქარხნებისაკენ, მეტალურგიული საწარმოებისაკენ და, ცხადია, ახალგაზრდობის ეს ლტოლვა უფრო მძლავრი იქნებოდა, თუ მათ წინასწარ აღვჭურვავდით ზოგადი ცოდნით, გავუღვივებდით მრეწველობის ამა თუ იმ დარგში მუშაობის ინტერესს, გავაცნობდით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენში ადგილობრივი ფოლადის მიღებას, ან კოქსვადი ქვანახშირის მოპოვებას, თუ რა კოლოსალური ენერგიის შემცველნი არიან ჩვენი მდინარეები, თუ როგორ აღორძინდება ჩვენი რესპუბლიკა სამგორის ველის მორწყვით ან კოლხიდის ჭაობების ამოშრობით, რა მიღწევები აქვთ ჩვენს მანქანათმშენებლებს და სხვ.

მეცნიერულ--პოპულარული ლიტერატურის სიმცირე ქართულ ენაზე ჯერ კიდევ რჩება ჩვენი გამომცემლობების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებისა და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებების მუშაობის ერთერთ მთავარ ნაკლად.

ასეთ ვითარებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ყოველთვიური ორგანოს, მეცნიერულ-პოპულარული ჟურნალის „მეცნიერება და ტექნიკას“ გამოცემა მისასალმებელი მოვლენაა. ამ ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის *) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ჟურნალის ყოველ ნომერს ეტყობა საქმისადმი სიყვარული, არა მარტო სპეციალური სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინების, არამედ საჟურნალო პოლიგრაფიული ტექნიკის ცოდნა და გამოცემის კარგად გაფორმებით, გულდასმით და მოფიქრებით შედგენით დაინტერესება.

უკვე გამოსულია ჟურნალის ხუთი ნომერი. ყოველი ნომერი საინტერესოდაა შედგენილი. კარგი ქართულით, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა გაშუქებით ეს ჟურნალი მკვეთრად განსხვავდება წინათ არსებული ამავე სახელწოდების ჟურნალისაგან.

ჟურნალის პირველი ნომრის (იანვრის) სარედაქციო წერილში აღნიშნულია, რომ

„მეცნიერება და ტექნიკა“ განკუთვნილია მკითხველთა ფართო მასისათვის, მოწოდებულია პირნათლად ემსახუროს ყველა იმ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას, რომლებსაც ჩვენს წინაშე აყენებს გრანდიოზული სოციალისტური მშენებლობა. ჟურნალმა უნდა გააცნოს ჩვენს ხალხს, თუ როგორ ემსახურებიან სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებები და თვით მეცნიერება. მან უნდა დააკმაყოფილოს ჩვენი ახალგაზრდობის მისწრაფება მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის შეძენისა და ამაღლებისა, ხელი შეუწყოს ტექნიკური გამოცდილების გაცვლა-გამოცვლას, წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვას, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმ მიღწევების გაშუქებას, რომლებიც ტექნიკასთან არიან დაკავშირებული. ჟურნალი უნდა დაეხმაროს ნოვატორებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს, გახდეს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პროპაგანდის მებრძოლი ორგანო“.

ამ დაპირებას ჟურნალის რედაქცია თანმიმდევრულად ასრულებს. რედაქციამ მოახერხა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის საუკეთესო ძალების ჩაბმა ჟურნალის მუშაობაში. მკითხველი ჟურნალის უკვე გამოსული ნომრების ფურცლებზე იპოვის საინტერესოდ დაწერილ და შინაარსიან წერილებს, რომელთა ავტორები არიან საქართველოს მეცნიერული და ტექნიკური ნაციონალური ორგანიზაციის გამოჩენილი წარმომადგენლები, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორები, კანდიდატები, დოცენტები, პრაქტიკოსი ინჟინრები.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი ნაკლი: ჟურნალი სისტემატურად გვიან გამოდის. ახლა მკითხველები უნდა ვარაუდობდნენ ჟურნალის მეშვიდე (ივლისის) ნომრის მიღებას, მაგრამ მათ ჯერ ივნისის ნომერიც არა აქვთ მიღებული. საჭიროა ეს ჩამორჩენა გამოსწორდეს.

გარდა ამისა, სასურველია, რომ ჟურნალი შეუდგეს საკონსულტაციო მასალების ბეჭდვას ისეთ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი მრეწველობის მუშაკებს აინტერესებთ. ასეთი საკითხებია, მაგალითად, მშენებლობის ჩქაროსნულ-ნაკადური მეთოდი და მისი გამოყენების პრაქტიკული მნიშვნელობა; მაღალი საწარმოო კულტურის დანერგვისათვის ბრძოლა; საბეტონო სამუშაოთა წარმოების ტექნიკა, მიუხედავად ამინდისა და წლის დროისა; საბრუნავ საშუალებათა ბრუნვის დაჩქარება და ა. შ. ასეთი ხასიათის მასალის ბეჭდვით ჟურნალი დიდად დაეხმარება ჩვენი მრეწველობის მუშაკებს.

დ. ამირანიძე

*) „მეცნიერება და ტექნიკის“ სარედაქციო კოლეგიაში შედიან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები რ. აგლაძე (პასუხისმგებელი რედაქტორი) და ვ. კუპრაძე, პროფესორი ვ. კაკაბაძე, დოცენტი ვ. მირიანაშვილი, ინჟინრები კ. გურგენიძე, შ. ჯაბუა და ე. წულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი).

ჩვენ გვწერენ

ნაკლოვანებები უნდა აღმოიფხვრას

ქუთაის-ტყიბულის რკინიგზის ხაზზე დიდად გაუძჯობესდა მგზავრთა მომსახურება. განსაკუთრებული კმაყოფილებით შეხვდნენ ტყიბულელი მეშახტეები ტყიბულიდან ქუთაისამდე მესამე სამგზავრო მატარებლის დანიშვნას, რამაც საგრძნობლად გააადვილა რესპუბლიკის ამ ორ სამრეწველო ცენტრს შორის მგზავრობა.

მაგრამ მიუხედავად ამ გაუმჯობესებისა, ქუთაის-ტყიბულის რკინიგზაზე მაინც ვხვდებით ზოგიერთ უწესრიგობას. ამას ნათლად ძეტყველებს მშრომელთა მრავალი სიგნალი და წერილი. მაგალითად, რკინიგზის ტყიბულის სადგურზე საბილეთო სალაროში მომუშავე ვინმე ელენე შალამბერიძე მგზავრებს სისტემატურად ზედმეტ ფასს ახდევინებს ბილეთებში. მრავალი აქტია შედგენილი ამ მოლარის მიერ ბილეთების ზედმეტ ფასში გაყიდვის შესახებ, მაგრამ იგი ყოველთვის ახერხებს თავის დაძვრენას და კვლავ თავისებურად განაგრძობს ძუშაობას. ამას წინათ მან მოქალაქე გ. პეტრიაშვილს თბილისამდე გაცემულ 5 ბილეთში ნაცვლად 208 მანეთისა 280 მანეთი გადაახდევინა. იმავე დღეს ბილეთებში ზედმეტი გადაახდევინა მოქალაქე ვ. კობახიძეს, გრ. მაწკეპლაძეს და სხვებს.

ხშირია ტყიბულის მატარებლით უბილეთო მგზავრთა წაყვანის შემთხვევები, მაგრამ ამისათვის არავის სჯიან. მაგალითად, 31 ივლისს, ვაგონის გამცილებელმა ლ. ხელოიშვილმა ქუთაისიდან ტყიბულამდე ერთი მგზავრი უბილეთოდ წაიყვანა. ხელოიშვილის ეს დანაშაულებრივი „საიდუმლოება“ გაიგო რევიზორმა გ. კლდიაშვილმა, მაგრამ... საქმე მორიგებით დასრულეს.

უპასუხისმგებლობის შემთხვევებიც არ არის იშვიათი ქუთაის-ტყიბულის ხაზზე. 31 ივლისს მეშანქანე კ. პეტუხოვმა უხეშად დაარღვია ტექნიკური ექსპლოატაციის წესი, საფირჩხიის ბაქანზე მატარებელი დანიშნული ადგილის მოშორებით გააჩერა, ხოლო ამის შედეგად მატარებელზე მგზავრთა ასვლისას უწესრიგობას ჰქონდა ადგილი. უწესრიგობას ისიც იწვევს, რომ მატარებლის ვაგონებზე ასასვლელი კიბეები უვარგისია, არ არის ელექტროგანათება.

ტყიბულელი მეშახტეები, რომლებიც დაინტერესებული არიან ქუთაის-ტყიბულს შორის სამგზავრო მიმოსვლის მოწესრიგებით, მოითხოვენ ამ ნაკლოვანებათა დაუყოვნებლივ აღმოფხვრას.

ვ. ციცეკიძე

ვანელ კოლმეურნეთა თაოსნობა

გვალვა და უწყლობა საკოლმეურნეო შრომის ნაყოფს ამცირებდა ვანის რაიონის იმ კოლმეურნეობებში, რომლებიც ზეინდრის, ამაღლების, ზედა ბზვანის, სალხინოს, ქვედა ბზვანის, დიხაშხოს და ვანის სასოფლო საბჭოში შედიან და 2.000 ჰექტარამდე სახნავსათეს მიწებს ფლობენ. ვანელ კოლმეურნეთა ინიციატივით აქ დაიწყეს სარწყავი არხის მშენებლობა. ეს არხი გაგრძელებაა ხანისწყლის იმ მოქმედი არხისა, რომელიც მაიაკოვსკის რაიონში მდებარეობს. ვანელთა ინიციატივას სათავეში ჩაუდგნენ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოები. არხის მშენებლობა ივლისის პირველ რიცხვებში გაჩაღდა.

მშენებლობაში ჩაება რაიონის 36 კოლმეურნეობა. მშენებლობაზე ყოველდღიურად გამოდის 2.000 კოლმეურნე, რომლებმაც ერთ თვეში შეასრულეს 45.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო და 20 კილომეტრზე გაიყვანეს არხი.

ამჟამად არხის მშენებლობა მთავრდება. შესასრულებელი დარჩა 5.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო, ამასთან ასაგებია წყლის რამდენიმე ტექნიკური ნაგებობა, რომელთა შესრულება ვანელ კოლმეურნეებს საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ და საჭიროებენ დახმარებას. ეს დახმარება მათ საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტრომ უნდა გაუწიოს.

ვ. კოკალეიშვილი

გამოუქვეყნებელი წერილების

კვალდაკვალ

საფაბრიკო ნესების დარღვევისათვის

თბილისის მუსიკალური საავეჯო კომბინატიდან მუშკორი გვწერდა, რომ აქ ადგილი აქვს საფაბრიკო-საქარხნო წესების დარღვევას, ყურადღება არ ექცევა გამომუშავების ნორმების შესრულებას, დამახინჯებულია ხელფასის საქმეში, ნაკლები ყურადღება ექცევა კადრების შერჩევას, ადგილი აქვს სხვადასხვა დანაშაულებრივ მოქმედებას.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ბარბაქაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა. ა. წ. 13 ივლისს საქართველოს სს რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიამ განიხილა ეს საკითხი.

კოლეგიის დადგენილებით კომბინატის მთავარ ინჟინერს კ. დუმბაძეს სუსტი ხელმძღვანელობისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, საშრომ.-სახერხი საამქროს უფროსი შ. კახაძე კოლეგიამ მოხსნა სამუშაოდან.

ჯიჯოს ხროვა ზურგში დანას სცემს სახალხო-დემოკრატიულ საბერძნეთს

ნიკოს ზახარიადისი,

საბერძნეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი

★

საბერძნეთის ყოველმა მცხოვრებმა კარგად იცის, რომ ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტებისაგან ყოველმხრივი და აშკარა დახმარების მიუღებლად მონარქიზმ-ფაშიზმი რამდენიმე თვესაც ვერ გაძლებდა. ჩვენი ძირითადი სიძნელენი ომის შედეგს წარმოადგენენ, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი დაჟინებით ცდილობს დარჩეს საბერძნეთში: ეს ქვეყანა წარმოადგენს მისთვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან სტრატეგიულ პოზიციას; იგი ცდილობს გადააქციოს ეს პოზიცია მნიშვნელოვან ხიდწინა სიმაგრედ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ მხრივ, მაგალითად, კარგად არის ცნობილი ჩერჩილის ძველისძველი გეგმები. მაგრამ შარშან გრამოს-ვიციის რაიონში მონარქიზმ-ფაშიზმის სამხედრო დამარცხებისა და 1948 წელს მისი სტრატეგიული გეგმების ჩაფუშვის შედეგად უცხოეთის იმპერიალიზმის პოზიციებს საბერძნეთში ძირი გამოეთხარა. სახალხო რევოლუციურმა მოძრაობამ და დემოკრატიულმა არმიამ გაიფართოეს და განიმტკიცეს პოზიციები პელოპონესში, რუმელიაში, თესალიაში, კუნძულებზე სამოსსა და ებეაზე.

მონარქისტულ-ფაშისტური რეჟიმი კრიზისულ მდგომარეობაში ჩავარდა. თავიანთ პატაკებში გენერლები პაპაგოსი, ვენდრისი, ცაკალოტოსი და სხვები აშკარად აღიარებდნენ, არმიის მორალური სულისკვეთება შერყეულია. დახვრეტილ იქნა ასობით ჯარისკაცი და ოფიცერი. თვით მეფე პავლე იძულებული გახდა ეთქვა, არმიაში მორალური კრიზისიაო. ათენის ხროვის ეკონომიური მდგომარეობა მძიმე იყო, პოლიტიკური კრიზისი სულ უფრო და უფრო უთხრიდა ძირს მონარქიზმ-ფაშიზმს. საზღვარგარეთ და ჩვენი ქვეყნის შიგნით იმ ადამიანებს, რომლებიც სრულებითაც არ ითვლებოდნენ ჩვენს მეგობრებად, უკვე ესმოდათ, რომ რეაქციონერებისათვის ერთადერთი გამოსავალი იყო საკითხების მშვიდობიანად მოგვარება და შეთანხმების დადება.

ტიტოს ხროვის გამცემლობა გამოირკვა სწორედ იმ მომენტში, როცა მონარქიზმ-ფაშიზმის კრიზისმა თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. ტიტოს გამცემლობამ შექმნა ახალი, სერიოზული სიძნელენი ჩვენი სახალხო-დემოკრატიული მოძრაობისათვის, ვინაიდან ამ გამცემლობამ გააძლიერა ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტთა გადაწყვეტილება — რაღაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ საბერძნეთი სწორედ იმისათვის, რომ სავსებით გამოიყენონ ტიტოს ხროვა და გააფართოონ თავიანთი პლაცდარმი ბალკანეთში. ამავე დროს იმპერიალიზმის ბანაკში ტიტოს ხროვის გადასვლა მხნეობას აძლევდა გულგატეხილ მონარქიზმ-ფაშიზმს.

ჩვენი ქვეყნის სახალხო-დემოკრატიულ მოძრაობას პირველი ოკუპაციის დროიდან არა ჰყოლია ისეთი ვერაგი და საზიზღარი მტერი, როგორიც არის ტიტოს ხროვა. ტიტოს ხროვის დიდსერბულმა შოვინიზმმა თავი იჩინა საბერძნეთის წინააღმდეგობის მოძრაობის მიმართ ჯერ კიდევ 1943 წელს, როცა იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ეგეოსის მაკედონიის ხალხი მხოლოდ იუგოსლავიის ფარგლებში შეძლებს განთავისუფლების მოპოვებასო. აქედან გამოდიოდა, რომ ყველა მაკედონელი პატრიოტის ძირითადი მოვალეობა იყო საბერძნეთის კომპარტიისა და ეამის წინააღმდეგ ბრძოლა და ტიტოს აგენტებთან თანამშრომლობა.

სწორედ ასეთი დირექტივით ხელმძღვანელობს იმ დროიდან ტიტოს რწმუნებული ეგეოსის მაკედონიაში ტემპო (ვუკმანოვიჩი). ამავე დირექტივას ახორციელებდა მათი მთავარი აგენტი გოჩე და ახორციელებს დღეს გოჩე-კერამიჯიევის ბანდა. მთელი ამ წლების მანძილზე საბერძნეთის კომპარტიისა და ეამის რიგებში ტიტოს ხროვა ათასობით გზავნიდა აგენტებს, რომელთა ამოცანა იყო საბერძნეთის კომპარტიისათვის ძირის გამოთხრა და სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთიანობის გათიშვა. ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბერძნეთის რეაქციასა და ინგლის-ამერიკის იმპერიალისტთა გადაწყვეტილება — რაღაც უნდა დაუჯდეთ შეინარჩუნონ საბერძნეთი სწორედ იმისათვის, რომ სავსებით გამოიყენონ ტიტოს ხროვა და გააფართოონ თავიანთი პლაცდარმი ბალკანეთში. ამავე დროს იმპერიალიზმის ბანაკში ტიტოს ხროვის გადასვლა მხნეობას აძლევდა გულგატეხილ მონარქიზმ-ფაშიზმს.

ტიტო აწყობდა მაკედონელთა მასობრივ ემიგრაციას იუგოსლავიაში. ამრიგად, იგი, ერთი მხრივ, მაკედონელი მოსახლეობისაგან სცლიდა ეგეოსის მაკედონიას, რისკენაც, აქვე უნდა ითქვას, უკვე მრავალი წელია მიისწრაფვიან საბერძნეთის მონარქისტ-ფაშისტები, რომელთაც სურთ შეცვალონ ეგეოსის მაკედონიის ეთნიკური შემადგენლობა. მეორე მხრივ ტიტოელები ცდილობენ გაიჩინონ ამ ლტოლვილებში აგენტები, რომლებსაც წინასწარი დამუშავების შემდეგ საბერძნეთში გზავნიან იმ მიზნით, რომ საბერძნეთის კომპარტიის, ეამისა და ჩვენი სახალხო-რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ იმოქმედონ.

საბერძნეთის კომპარტია და რევოლუციური მოძრაობა საბერძნეთში 1943 წლიდან მაინც ორ ცეცხლს შუა იმყოფება: ერთი მხრივ დგანან უცხოელი იმპერიალისტები და მონარქისტ-ფაშისტები, ხოლო მეორე მხრივ — ტიტოს ხროვა მისი აღმასრულებელი ორგანოთი — გოჩე-კერამიჯიევის ბანდით, რომელსაც ეგეოსის მაკედონიაში იუგოსლავიის დაზვერვის ასობით აგენტი ჰყავდა და ჰყავს. 1944 წელს, მოქმედებდა რა სკოპლედან მიღებული ბრძანებით, გოჩე თავისი რაზმით იუგოსლავიაში გადავიდა. ამჟამად გოჩესა და კერამიჯიევის მთავარი ბანაკი სკოპლეშია.

საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტს თავის დროზე არაერთგზის მიუმართავს იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის, კონკრეტული და უცილობელი დოკუმენტების საშუალებით უმხილებია ამ აგენტების კონტრრევოლუციური მოქმედება და მოუთხოვია, რომ მათი საქმიანობა შეწყვეტილიყო. იუგოსლავიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს სრულებით არაფერი გაუკეთებია, რომ ბოლო მოეღო ამ პროვოკაციული საქმიანობისათვის. დღეს უცილობლად დამტკიცებულია, რომ ქრისტოს ვლახოსი, რომელმაც 1947 წელს სალონიკში საბერძნეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი იანის ზეგვოსი მოკლა, იუგოსლავიის დაზვერვის აგენტი იყო და ინსტრუქციას იღებდა სკოპლეში. იგი იუგოსლავიის დაზვერვის ბრძანებით სალონიკში ჩამოვიდა, ინტელიჯენს სერვისის აგენტის გენერალ ზერვასის განკარგულებაში გადავიდა და შემდეგ განახორციელა ზეგვოსის მოკვლა. ხუთი ტყვე მონარქისტ-ფაშისტი ოფიცერი (მათ შორის ხალხის ჯალათები) გაიქცა რანკოვიჩის აგენტების დახმარებით სამხედრო ტყვეთა ბანაკიდან და თავი შეაფარა იუგოსლავიას. იუგოსლავიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ ამის შესახებ მან აბსოლუტურად არაფერი იცის. მაგრამ ჩვენ ზუსტად აღვნიშნეთ თარიღი და მიეუთითეთ ადგილი, სადაც მონარქისტ-ფაშისტი ოფიცრები საზღვარზე გადავიდნენ; მესაზღვრე ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა გვაცნობეს, რომ ეს მონარქისტ-ფაშისტები იუგოსლავიაში გადავიდნენ. ჩვენ ათობით დავაკავეთ იუგოსლავიის დაზვერვის აგენტები. 1948 წლის დეკემბერში პრესპაში დაკავებულ იქნა იუგოსლავიის ორი აგენტი: გუნაროს მენოსი და გალიოს მიტსოსი. ამ აგენტებმა მოგვცეს ზუსტი ცნობები: იუგოსლავიის დაზვერვის იმ ოფიცრების სახელები, რომლებმაც ისინი გამოგზავნეს, და კონკრეტული დავალება, რაც მათ მიიღეს.

დემოკრატიული არმიის მთავარი სარდლობის 1949 წლის 6 ივლისის კომუნიკეში აღნიშნული იყო, რომ 5 ივლისს მონარქისტ-ფაშისტთა ჯარებმა იუგოსლავიის ტერიტორია გამოიყენეს, რათა ზურგიდან შემოევლოთ დემოკრატიული არმიისათვის კაიმაკჩალანის რაიონში. იმავე დღეს დეპეშათა სააგენტო „თავისუფალმა საბერძნეთმა“ დაიმოწმა ოფიციალური დოკუმენტი — მონარქისტ-ფაშისტთა 516-ე ბატალიონის მეთაურის პოდპოლკოვნიკ პეტროპულოსის პატაკი, რომელიც მან მე-3 საარმიო კორპუსის მეთაურს გენერალ გრიგოროპულოსს წარუდგინა, და გამოაქვეყნა ცნობა, რომ 1949 წლის 4 ივლისს, ე. ი. ერთი დღით ადრე, როცა მონარქისტ-ფაშისტებმა იუგოსლავიის ტერიტორია გამოიყენეს, პოპოვოლოსისა და კაიმაკჩალანის რაიონში შედგა იუგოსლავიისა და მონარქისტულ-ფაშისტური საბერძნეთის ოფიცრების შეხვედრა. ამ შეხვედრას დაესწრნენ აგრეთვე ინგლისელი და ამერიკელი ოფიცრები. ტანიუგის სააგენტოს არ უარუყვია ის ფაქტი, რომ ასეთი შეხვედრა შედგა. ეს არ უარუყვია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. [illegible] მოძადგენელსაც, როცა მას ამ შეხვედრის შესახებ შეეკითხნენ. პოლაში (ისტრია) 1949 წლის 10 ივლისს წარმოთქმულ თავის სიტყვაში ტიტოსაც არ უარუყვია ეს შეხვედრა. ისევე, როგორც ტანიუგის სააგენტომ, მან მხოლოდ სცადა უარეყო ის ფაქტი, რომ დადებულია შეთანხმება მონარქისტ-ფაშისტების მიერ იუგოსლავიის ტერიტორიის გამოყენების შესახებ.

ასე ასაღებდნენ საქმეს ბელგრადში, როცა 1949 წლის 21 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბალკანეთის კომისიამ ათენში გამოაქვეყნა კომუნიკე, რომლის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა დაეფარა ტიტოს ხროვის თანამშრომლობა მონარქისტ-ფაშისტებთან, რაც საბერძნეთის დემოკრატიული არმიის მთავარმა სარდლობამ და თავისუფალი საბერძნეთის რადიომ ამხილეს 1949 წლის 6 ივლისს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბალკანეთის კომისიის ეს კომუნიკე შეტად საგულისხმოა, ვინაიდან, ჯერ-ერთი, კომისიამ თავის ისტორიაში პირველად აღიარა, რომ მონარქისტ-ფაშისტები ბევრჯერ არღვევდნენ იუგოსლავიის საზღვარს კაიმაკჩალანის რაიონში, მაგრამ ამასთან ამტკიცება, რომ ამას ჩადიოდნენ არა ქვეითი ნაწილები, არამედ არტილერია და ავიაცია. მეორეც, ბალკანეთის კომისიის კომუნიკემ აღიარა, რომ შიდა მონარქისტ-ფაშისტი ოფიცრების შეხვედრა იუგოსლავიელ ოფიცრებთან კაიმაკჩალანის რაიონში.

მას შემდეგ, რაც ბერძენი ხალხის სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი ტიტოს ხროვის ღალატი მხილებულ იქნა პროგრესული კაცობრიობისა და იუგოსლავიელი ხალხის წინაშე, იუგოსლავიის ხელმძღვანელები იძულებული გახდნენ მოეხდინათ კიდევ ერთი პროვოკატორის მობილიზაცია. ტიტოსა და ჯილასის შემდეგ კარდელიც გამოვიდა თავისი განცხადებით საბერძნეთის საკითხზე. ეს განცხადება მან 1949 წლის 24 ივლისს გაუკეთა ტანიუგის სააგენტოს. კარდელი უარყოფს ყველაფერს: ცალდარისთან შეთანხმებას, კაიმაკჩალანის რაიონში მოლაპარაკებას, მონარქისტ-ფაშისტების მიერ იუგოსლავიის ტერიტორიის გამოყენებას და ამთავრებს იეზუიტური განცხადებებით, რომ ბელგრადის მთავრობა, „კვლავ სიმპათიით ეკიდება“ ბერძენი ხალხის მოძრაობას, მაგრამ „არ შეუძლია ძალით მოახვიოს თავს დახმარება“, რომ ამაში დამნაშავენი არიან „საინფორმაციო ბიუროს აგენტები, რომლებმაც ტიტოს ცილი დასწამესო“. ჩვენ არასოდეს არ შეგვდიოდა ეჭვი იუგოსლავიელი ხალხის სიმპათიებში, ხოლო რაც შეეხება დამნაშავეთა განსაზღვრას, ამ მხრივ მითითებას იძლევა გაზეთი „ტაიმსი“, რომელიც ამტკიცებს, რომ თავისი დეკლარაციით ქალაქ პოლაში ტიტომ წინასწარ მისცა ამერიკელებს საჭირო გარანტიები, რათა მათგან მიიღოს დოლარები, რომლებიც მას ესაჭიროებაო.

ახლა საზიზღარი გამცემლები — ტიტო, ჯილასი, კარდელი და კომპანია, თავიანთი გამცემლობა რომ შენიღბონ, გაჰყვირიან, ბერძენი დემოკრატების მორალური სულისკვეთება ეცემა და ისინი გამარჯვების რწმენას კარგავენო. ნამდვილად კი ტიტოს ხროვა ყოველივე შესაძლებელს აკეთებს ბერძენი დემოკრატების მორალური სულისკვეთების შესარყევად. ტიტოს გამცემლობა და მისი ხანგრძლივი ძირგამომთხრელი მუშაობა საბერძნეთის სახალხო-დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ სერიოზულ სიძნელეებს გვიქმნის. ტიტოს საშინლად სძულს საბერძნეთის სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა და გააფთრებით ებრძვის მას, მაგრამ ისიც, მისი მოკავშირე მონარქისტ-ფაშისტებიც და მათი საერთო ბატონებიც ცდებიან, ჩვენი გატეხის იმედი რომ აქვთ. მთელ საბერძნეთში — რუმელიაში, თესალიაში, პელოპონესში, ეპირში, მაკედონიაში, თრაკიაში, კუნძულებზე — საბერძნეთის დემოკრატიული არმია ძლევს უდიდეს სიძნელეებს და შეურყეველი მამაცობით განაგრძობს მტერთან ბრძოლას. ქალაქებში ვითარდება თართო საგაფიცო მოძრაობა, რომელმაც ათეულ ათასობით მუშა-მოსამსახურე მოიცვა. ასეულ ათასობით გლეხებს, რომლებიც იღუპებიან ქალაქებში, სადაც ისინი ძალით გარეკეს მონარქისტ-ფაშისტებმა, მთელი თავიანთი არსებით სძულთ ათენის მთავრობა. საბერძნეთში რეაქცია განიცდის ეკონომიურ, პოლიტიკურ და მორალურ კრიზისს, საიდანაც გამოსავალი ვერ უპოვნია. საბერძნეთის დემოკრატიული არმია პირისპირ შეხვდება მონარქიზმ-ფაშიზმს გადამწყვეტ დიდ ბრძოლებში, რომლებიც გრამოსსა და ვიციში ძზადდება.

ჩვენ ვიბრძვით იმიტომ, რომ გვსურს მშვიდობა, დემოკრატიისა და საბერძნეთის დამოუკიდებლობის დამყარება, რეაქცია ომისაკენ მიისწრაფვის, მას სურს გაგვსრისოს, რისთვისაც არავითარ საშუალებას არ ერიდება, და ამ მიზნისათვის იყენებს ტიტოს ხროვას. პროგრესული აკაცობრიობისა და კერძოდ იუგოსლავიელი ხალხის დახმარებისა და სოლიდარობის მეოხებით საბერძნეთის ხალხი გაიმარჯვებს როგორც ომში, ისე მშვიდობაში და მოიპოვებს სახალხო ოემოკრატიასა და ნაციონალურ დამოუკიდებლობას.

(გაზ. „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის“)

საბჭოთა მშენებლობა

სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო საბჭოებს შორის

ხიზაბავრელთა წარმატება

გაზეთა პატრიოტული მიმართვის პასუხად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად ხიზაბავრის სასოფლო საბჭოს დიდი მუშაობა გასწია.

საბჭოში შემავალმა კოლმეურნეობებმა წელს ბევრად უკეთესად მოაწესრიგეს შრომა, გაუმჯობესეს სამუშაოთა შესრულების ხარისხი, დროულად დაამთავრეს საგაზაფხულო სასოფლო-საეურნეო სამუშაოები.

ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბაღები მორწყვის მოუწესრიგებლობის გამო საფრთხეში იყო. ამ საკითხზე სასოფლო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე მოხსენება გააკეთა სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა მ. მექოშვილმა. დაისახა ღონისძიებანი. ივლისში შემოწმდა მიღებული დადგეილების შესრულების მიმდინარეობა. მუშაობის ასე დაყენებამ გაზარდა კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა და საგრძნობლად განაპირობა შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში.

სასოფლო საბჭოს მოსმენილი აქვს ბგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო კომისიის (თავმჯდომარე დეპუტატი თამარ მაზნიაშვილი), კეთილმოწყობის კომისიის (თავმჯდომარე დეპუტატი ანა ანთაძე), საბიუჯეტო კომისიის (თავმჯდომარე დეპუტატი თამარ თედორაძე) და საგზაო კომისიის (თავმჯდომარე დეპუტატი ს. ყირიმლიშვილი) მოხსენებანი მათი მუშაობის შესახებ. მუდმივი კომისიების ნაყოფიერმა მუშაობამ შედეგიც კარგი გამოიღო. საბჭოს მნიშვნელოვანი წინსვლა დაეტყო. სახეს იცვლის, კულტურული და კეთილმოწყობილი ხდება საბჭოში შემავალი ოთხივე საკოლმეურნეო სოფელი.

ვარგავის კოლმეურნეობა „წითელი დროშა“ (თავმჯდომარე ლ. ლაზარაშვილი) აძლევს და აგვისტოში დაამთავრებს მასწავლებელთა ოთხთაიანან სახლს, მარცვლეულის საწყობს და 200 სული პირუტყვისათვის ქვიტკირის მშვენიერ ბინას. მასწავლებელთა ბინების, 250-ადგილიანი ახალი კლუბის და საკოლმეურნეო აბანოს მშენებლობას ამთავრებს საროს სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ა. ასპანიძე).

საკოლმეურნეო აბანოს, ასი სულის ტევადობის საქონლის ბინის, საწყობის, საფუტკრის და კლუბის მშენებლობა გაჩაღებულია ხიზაბავრის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ყრუაშვილი). ამ კოლმეურნეობამ სოფლის ცენტრში გააშენა დეკორაციული ბაღი და ახლა ამ ბაღში დგამს ამხანაგ ლ. პ. ბერიას ბიუსტს.

საბჭოს ოთხივე კოლმეურნეობასთან გახსნილია საკოლმეურნეო სამკითხველოები. სამკითხველოებს სოფელ საროს კოლმეურნეობამ 4.000 მანეთის სხვადასხვა სახის ლიტერატურა შეუძინა.

ამჟამად სასოფლო საბჭოს ზრუნვის საგანია ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მომზადება. სასკოლო ერთთვიურმა, რომელიც აქ ეწყობა, კარგი შედეგი გამოიღო. სკოლები მომარაგებულია საკმაო შეშით. წარმოებს სასკოლო შენობებისა და ინვენტარის რემონტი. მუშაობა იმგვარად არის დაყენებული, რომ სკოლები ვადაზე გაცილებით ადრე მთლიანად იქნებიან მზად ახალი სასწავლო წლისათვის.

სასოფლო საბჭოს წარმატება აქვს ფულადი სახსრების მობილიზაციისა (ნახევარი წლის გეგმა შესრულებულია 108.4 პროცენტით) და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების საქმეშიც.

ნახევარი წლის მუშაობის შედეგების მიხედვით ხიზაბავრის სასოფლო საბ

მუშაობა შეწყვიტა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიამ

ნიუ-იორკი, 2 აგვისტო. (საკდესი). 1 აგვისტოს ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიამ შეწყვიტა მუშაობა და მიიღო საფრანგეთის დელეგაციის ეგრეთ წოდებული „სამუშაო დოკუმენტი“, რომელიც შეიარაღების ნამდვილი შემცირების საკითხის გადაწყვეტას ცვლის ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღებისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების შესახებ ინფორმაციის შეგროვებით.

როგორც ცნობილია, ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ უშიშროების საბჭოში მიიღო რა თითქმის სამი წლის წინათ გადაწყვეტილება ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიის შექმნის შესახებ, თავისი შემდგომი მოქმედებით ცხადყო, რომ მას არ სურს შეიარაღების შემცირება, და ამასთან დაკავშირებით დაადგა გენერალური ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრისა და 14 დეკემბრის რეზოლუციების საბოტაჟის გზას.

ინგლის-ამერიკის უმრავლესობის მხრივ საბოტაჟის ამ პოლიტიკის შედეგად რამდენიმე დღის წინათ თავისი საქმიანობა შეწყვიტა, ისე რომ არავითარი გადაწყვეტილება არ მიიღია, ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისიამ, რომლის ამოცანასაც შეადგენდა ატომის ენერგიისადმი კონტროლისა და ატომური იარაღის აკრძალვის გეგმის შემუშავება.

ახლა იმავე მიზეზებით მუშაობა შეწყვიტა ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიამაც, ისე რომ ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შემცირების არავითარი გეგმა არ შეუმუშავებია, რისთვისაც იგი შექმნილი იყო.

ამრიგად, შეიარაღების შემცირების ლონისძიებათა შემუშავების საკითხი გადადებულია გაურკვეველი დროით.

კომისიის 1 აგვისტოს სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი, რომელმაც აღნიშნა, რომ საფრანგეთის სამუშაო დოკუმენტის გამოჩენა და ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიის წინა სხდომაზე შეერთებული შტატების წარმომადგენლის გამოსვლა ცხადყოფენ, რომ ეს კომისია, ისევე როგორც ატომის ენერგიისადმი კონტროლის კომისია, არათუ არ წასულა წინ მისთვის დაკისრებული ამოცანის შესრულების გზით, არამედ, უფრო მეტიც, იგი ჯიუტად უკან მიიწევს და თავისი მოქმედების სფეროდან გამორიცხავს შეიარაღების შემცირების ლონისძიებათა მომზადების ხსენებასაც კი. კომისიისა და მისი სამუშაო კომიტეტის თითქმის სამი წლის მუშაობის შედეგად წარმოიშვა ფუჭი უშინაარსო დოკუმენტი, რომელსაც მისმა ავტორებმა „სამუშაო დოკუმენტი“ უწოდეს და რომელიც შეიარაღების შემცირების ამოცანის ცვლის ეგრეთწოდებული ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ინფორმაციის შეგროვებითა და შემოწმებით. ეს დოკუმენტი წარმოიშვა იმ პოზიციის შედეგად, რომელიც დაიკავეს შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობებმა შეიარაღების შემცირების საკითხში. ამ პოზიციის შინაარსი მდგომარეობს ყველა იმ ლონისძიებისადმი წინააღმდეგობაში, რომლებიც მიმართულია შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ნამდვილი შემცირებისაკენ, ატომური იარაღის აკრძალვის ჩათვლით.

ცარაპკინმა ამხილა ამერიკის წარმომადგენლის ნიშის მიერ კომისიის წარსულ სხდომაზე გაკეთებული ცდა, რომ კომისიის მუშაობის წარუმატებლობისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრებინა საბჭოთა კავშირისათვის და უარყო ამ წარმომადგენლის სულელური მონაჭორი საბჭოთა კავშირის მიმართ.

ყველასათვის ცნობილია, განაცხადა ამხ. ცარაპკინმა, რომ ომის დამთავრების შემდეგ შეერთებულმა შტატებმა უარი თქვეს თანამშრომლობის პოლიტიკაზე და, მკვეთრად შეცვალეს რა თავიანთი საგარეო პოლიტიკის კურსი, აგრესიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკიდან გადავიდნენ აგრესიის პოლიტიკაზე და მსოფლიო ბატონობის გეგმების განხორციელებაზე, რასაც თან ახლავს გამლავდული შეიარაღება. შეერთებულ შტატებში უფრო და უფრო ძლიერდება მილიტარიზმი. საკმარისია გადავხედოთ ყოველ ამერიკულ გაზეთს, რომ დავრწმუნდეთ ამაში. მართლაც, შეიარაღება ამერიკის მმართველი წრეების აკვიატებული იდეა გახდა. გამლავდული შეიარაღება, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის გააფთრებული პროპაგანდა, სამხედრო კავშირებისა და ბლოკების შექმნა, ახალი სამხედრო-საპაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების მშენებლობა—აი რა ახასიათებს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ახლანდელ კურსს. ეს უსაფუძვლო განცხადება რომელია, იგი შეიძლება დადასტურდეს ფაქტებით, რომელთაგან ბევრი უკვე მოაყვანეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

მაგალითად, ცნობილია, რომ ამჟამად შეერთებული შტატების არმია გაზრდილია 3,5-ჯერ და უფრო მეტად ომისწინა წლებთან შედარებით. ყოველ წელიწადს დიდდება ასიგნებანი შეიარაღებული ძალების შესანახად. შეერთებული შტატების წმინდა სამხედრო ხარჯები შეადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტის ნახევარზე მეტს.

თავიანთი შეიარაღებული ძალების რიცხვისა და მათი შესანახი საბიუჯეტო ხარჯების ზრდასთან ერთად შეერთებული შტატები აფართოებენ სამხედრო ბაზების ქსელს თავიანთი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სამხედრო მიზნებს გზავნან სხვადასხვა ქვეყნებში. მარტო შეერთებული შტატების პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით შეიძლება დავადგინოთ, რომ ამჟამად შეერთებულ შტატებს ასობით მსხვილი ბაზა აქვთ, რომლებიც მდებარეობენ მათი ტერიტორიის გარეთ, თუ არ ჩავთვლით გერმანიაში, ავსტრიასა და ტრიესტში განლაგებულ ბაზებს. შეერთებულ შტატებს აქვთ 23 სამხედრო ბაზა, რომლებიც მდებარეობენ სსრ კავშირის საზღვრებთან ძალიან ახლო მანძილზე.

ძნელია, კვიპროსზე, თურქეთზე, საუდის არაბეთზე, ირანზე და შემდეგ შორეულ აღმოსავლეთზე, სადაც შეერთებულ შტატებს აქვთ მნიშვნელოვანი რაოდენობის ბაზები და მისიები (ოკინავაზე, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში). ამით როდი ამოიწურება სამხედრო ბაზებისა და მისიების რაოდენობა შეერთებულ შტატებში, რომლებთაც სავსეა ლათინური ამერიკის ქვეყნები და რომელთა ჩამოთვლა ძალიან დიდ დროს წაგვართმევდა. რისთვის, თუ არა აგრესიული განზრახვით, დასჭირდა შეერთებულ შტატებს სამხედრო ბაზები და სამხედრო მისიები საბერძნეთში, კვიპროსზე, ირანსა და თურქეთში, მელესა და დახრანში, 10 ათასი და მეტი მილის მანძილზე შეერთებული შტატების ნაპირებიდან, მაგრამ ძალიან ახლოს საბჭოთა კავშირის მეზობლად. საბჭოთა კავშირს ხომ არა აქვს თავისი ბაზები ან სამხედრო მისიები, ვთქვათ, მექსიკაში, კანადაში, ან, ვთქვათ, კუბაზე.

მოყვანილი ცნობები სავსებით საკმარისია, რომ ცხადყოთ შეერთებული შტატების აგრესიული ზრახვები და მათი მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ.

შეერთებული შტატების მისწრაფება მსოფლიო ბატონობისაკენ ბევრჯერ ყოფილა დადასტურებული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის განცხადებებში. შეერთებული შტატების კონგრესისათვის ა. წ. 25 იანვრის გაგზავნილ წერილში პრეზიდენტმა ტრუმენმა უკვე მერამდენჯერ აღნიშნა ხაზგასმით, რომ შეერთებულმა შტატებმა იკისრეს „წამყვანი როლი“ საერთაშორისო საქმეებში. შეერთებული შტატების ეს პრეტენზიები „საერთაშორისო საქმეებში ხელმძღვანელ როლზე“, თუ ამას უბრალო გასაგები ენით ვიტყვით, ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული შტატების მისწრაფებას მსოფლიო ბატონობისა და აგრესიისაკენ და არა თანამშრომლობისაკენ, არა მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ დიდ და მცირე ხალხთა უფლებების პატივისცემის საფუძველზე. შეერთებული შტატების აგრესიულობა მტკიცდება აგრეთვე პრესის მრავალი განცხადებით, რომლებიც მოუწოდებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისაკენ. შეერთებული შტატები არამარტო თვითონ ემზადებიან აგრესიისათვის, არამედ გამლეტელი ფიზიკოსებიში ამბობენ ახალ-ახალ ქვეყნებს, დებენ მათთან სამხედრო ხელშეკრულებებს, რომლებიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთი ხელშეკრულების მაგალითს წარმოადგენს ჩრდილო ატლანტიკის აგრესიული პაქტი, რომელიც უკვე ხელმოწერილი და რატიფიცირებულია შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, კანადისა და ნორვეგიის მთავრობათა მიერ, რომელთა წარმომადგენლებიც შეიქმნენ ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიის შემადგენლობაში.

იმ ფაქტს, რომ ჩრდილო ატლანტიკის პაქტი მიმართულია საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, ანა უკვე აღარ უარყოფენ და აშკარად აღიარებენ მასი ორგანიზატორები და მონაწილენი.

აი ამერიკის მმართველი წრეების ნამდვილი სახე, აი ქვეყნებს შორის ნდობის დამყარების რა ზეხის მიღებას გვთავაზობენ შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის ბატონი წარმომადგენლები. ეს გზა გამომდინარეობს მათი გადაწყვეტილებიდან დაასამარონ შეიარაღების შემცირების საქმე, რისთვისაც ინიციბებიან არაფრისმთქმელი „სამუშაო გეგმებით“ და „სამუშაო დოკუმენტებით“, რომელთა შესახებაც ლაპარაკობდა ამერიკის წარმომადგენელი ნიში წინა სხდომაზე. სწორედ ეს გეგმები და დოკუმენტებია მიმართული იქითკენ, რომ შეიარაღების შემცირების უმნიშვნელოვანესი პრობლემა გადაიკეთონ მეორხარისხოვან საკითხად, შეცვალონ იგი ინფორმაციის შეგროვებისა და შემოწმების საკითხით. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ ინფორმაციის შეგროვება და შემოწმება მხოლოდ პირველი ნაბიჯია შეიარაღების შემცირების გზაზე. ჩვენ არა გვაქვს საფუძველი დავუჯეროთ ამას. ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს დავუჯეროთ შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ ჯონსონის განცხადებას, რომელმაც, იუნაიტედ პრესის ა. წ. 29 იანვრის ცნობით, წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა კომისიაში გამოსვლის დროს აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები მონაწილეობას არ მიიღებენ განიარაღების არცერთ შეთანხმებაში. სწორედ ამ გზს ატარებდა შეერთებული შტატების დელეგაცია მუშაობის მთელ მანძილზე შეიარაღების შემცირების დარგში. სწორედ ეს დაედო საფუძვლად იმ „სამუშაო გეგმებს“, რომლებზეც ლაპარაკობს ნიში და რომელთა მიღებაც არ შეუძლია სსრ კავშირის დელეგაციას, ვინაიდან ეს გეგმები მიმართულია არსებითად შეიარაღების შემცირების შესახებ გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებათა ჩაშლისაკენ. საბჭოთა კავშირის დელეგაცია ასეთ საქმეებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

საბჭოთა კავშირი განუხრელად ატარებს ხანგრძლივი და მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ მიმართულ პოლიტიკას და თანმიმდევრულად და მტკიცედ ცდილობს მიაღწიოს ატომური იარაღის აკრძალვას და შეიარაღების შემცირებას. 1946 წლიდან დაწყებული, საბჭოთა დელეგაციამ შეიტანა მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც მიმართულია ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულებისაკენ.

ცარაპკინმა დამსწრეთ მოაგონა, რომ შეიარაღების შემცირების საკითხი პირველად გენერალურ ასამბლეაზე დაისვა საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით. ამ წინადადებათა განხილვის შედეგად მიღებულ იქნა გენერალური ასამბლეის 1946 წლის 14 დეკემბრის ცნობილი რეზოლუცია. ამ რეზოლუციის მიღებისთანავე სსრ კავშირის დელეგაციამ, როგორც უშიშროების საბჭოში, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების კომისიაში შეიტანა წინადადებანი, რომლებსაც შეეძლო უზრუნველეყო რეალურ ლონისძიებათა განხორციელება შეიარაღების შესამცირებლად. სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა წინადადებანი ძირითად პრინციპების შესახებ, რომლებსაც უნდა დამყაროს ლონისძიებანი შეიარაღების შემცირების დარგში. ამ წინადადებებში გათვალისწინებული იყო არმიის, სამხედრო-საპაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების შემცირების გატარება, ზოგიერთი სახის შეიარაღების საბრძოლო დახასიათების შეზღუდვა და ცალკეული სახეების შეიარაღების აკრძალვა. შეიარაღების შემცირების საკითხი უკავშირდებოდა ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს. ბოლოს ეს წინადადებანი ითვალისწინებდნენ უშიშროების საბჭოს ფარგლებში კონტროლის სათანადო სისტემის შექმნას. გენერალური ასამბლეის პარიზის სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ შეიტანა კონკრეტული წინადადება ატომური იარაღის აკრძალვისა და უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრის შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების ერთი მესამედით შემცირების შესახებ. ამ წინადადებებში გათვალისწინებული იყო აგრეთვე უშიშროების საბჭოს ფარგლებში სათანადო საკონტროლო ორგანოს შექმნა.

„ამრიგად,—თქვა ცარაპკინმა,—ყველა პრაქტიკული წინადადება შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ საბჭოთა კავშირისაგან გამომდინარეობდა. შეერთებული შტატების წარმომადგენელს არ შეუძლია მოიყვანოს არცერთი შემთხვევა, როცა შეერთებულ შტატებს შეეტანოთ წინადადება შეიარაღების შემცირების შესახებ“.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კომისიის განსახილველად წარმოდგენილი „სამუშაო დოკუმენტი“ ახალი რგოლია იმ მანევრების ჯაჭვში, რომლებსაც შეერთებული შტატები, ინგლისი და საფრანგეთი ახორციელებენ იმ მიზნით, რათა კომისია განწირონ სრული უმოქმედობისათვის და ჩამოაცილონ შეიარაღების შემცირების პრობლემას. ეს დოკუმენტი ლოგიკური დასასრულია შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით ატლანტიკის აგრესიული პაქტის მონაწილე ქვეყნების ჯგუფის ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ ჩაშალოს გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებანი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საყოველთაო მოწესრიგებისა და შემცირების შესახებ. ცარაპკინმა ანალიზი გაუკეთა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობის ისტორიას შეიარაღების შემცირების დარგში და ცხადყო, თუ როგორ იცვლებოდა თანდათან ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის თვალსაზრისი და სულ უფრო და უფრო სცილდებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად ამოცანებსა და მიზნებს შეიარაღების მოწესრიგებისა და შემცირების დარგში, რომლებიც ჩამოყალიბებულია გენერალური ასამბლეის 1946 წლის 24 იანვრისა და 14 დეკემბრის ძირითად გადაწყვეტილებებში. საბჭოთა წარმომადგენელი შეეხო ატომური იარაღის აკრძალვის საკითხს და დამსწრეთ მოაგონა, რომ ყველა „პრაქტიკული ლონისძიება“ ამ დარგში განსაზღვრებოდა ატომის კომისიის მიერ შეერთებული შტატების წინადადებით ა. წ. 29 იანვრის მიღებული რეზოლუციით, რომელის თანახმად ამ კომისიას გაურკვეველი ვადით უნდა შეეწყვიტა მუშაობა.

ამრიგად, შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის მთელი პრობლემიდან დარჩა მხოლოდ ჩვეულებრივი ტიპის შეიარაღების შესახებ ინფორმაციის შეგროვების საკითხი, რომელსაც ახლა გვთავაზობენ როგორც შეიარაღების შემცირების მთელი მუშაობის საფუძველს. თუ ფაქტების მიხედვით ვიმსჯელებთ და არა უსაფუძვლო პროპაგანდისტული განცხადებების მიხედვით, აღნიშნა ცარაპკინმა, გამოუცდელი კაციც კი დაინახავს, რომ სწორედ ეგრეთწოდებული შტატები უწევენ საბოტაჟს შეიარაღების შემცირების საქმეს და ცდილობენ განახორციელონ მსოფლიო ბატონობის თავიანთი გიჟური იდეა. შემდეგ ცარაპკინმა აღნიშნა, რომ მილიონობით ადამიანისათვის საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ნათელ და გასაგებ მიზანს შეიარაღების შემცირების გზით, შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა დაუპირდაპირეს თავიანთი თვალსაზრისი, რომლის თანახმად შეიარაღების შემცირებას წინ უნდა ესწრებდეს საერთაშორისო ნდობის დამყარება, ურომლისოდაც, ვითომდა, საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი შეიარაღების შემცირების ირაიე ლონისძიების განხორციელებაზე. შეერთებული შტატები და ინგლისი ასეთი ტაქტიკით მიზნად ისახავდნენ დაეხლართათ ეს უბრალო და ნათელი საკითხი, თავგზა აებნიათ ფუქსავატი ადამიანებისათვის და სრულიად ჩამოეშორებინათ ჩვეულებრივი შეიარაღების კომისია მისი ამოცანებისაგან შეიარაღების შემცირების დარგში.

ამავე დროს ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები, ნათელია, რომ შეიარაღების ნამდვილი შემცირება, რომელიც შეიცავს ატომური იარაღის აკრძალვასაც, ქვეყნებს შორის ნდობის დამყარების უმოკლესი გზა და ყველაზე დამაჯერებელი საშუალებაა. საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მილიონობით ადამიანებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ესმით ეს მოტყუება და მისი შედეგების მთელი საშიშრობა. მან დაიმოწმა 55 ათასი შვედი ქალის წერილი, რომელიც ამასწინათ მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და რომლითაც ეს ქალები მოითხოვენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაუყოვნებლივ დაიწყოს შეიარაღების შემცირების საკითხის განხილვა და რომ კანონგარეშე იქნას გამოცხადებული ატომური ბომბი და მასობრივი მოსპობისათვის გათვალისწინებული ყველა სხვა სახის შეიარაღება.

ხალხები გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან მოითხოვენ არა ფუჭ და ცრუ დეკლარაციებს საერთაშორისო ნდობის შესახებ და სხვ., არამედ მოქმედებას მშვიდობის განმტკიცების სასარგებლოდ, მოითხოვენ ატომური იარაღის აკრძალვას, შეიარაღების შემცირებას და არა სახელმწიფოთა ჯგუფის აგრესიული გეგმებისათვის ხელისშეწყობას.

შემდეგ ცარაპკინმა აღნიშნა, რომ შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ შეთანხმებული და გადაწყვეტილების უქონლად საფრანგეთის ეგრეთ წოდებული „სამუშაო დოკუმენტი“ ვერავითარ პრაქტიკულ მიზნებს სამსახურს ვერ გაუწევს. ლაპარაკი სამხედრო ინფორმაციის შეგროვების შესახებ შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ როგორც იმის აშკარა ცდა, რომ შეიარაღების შემცირების საკითხი შეცვალონ შეიარაღების შესახებ დაზვერვის ცნობების შეგროვების საკითხით. იმის გამო, რომ განსახილველი „სამუშაო დოკუმენტი“ არ ითვალისწინებს ლონისძიებათა განხორციელებას შეიარაღების შემცირების დარგში და შეიარაღების შემცირების საკითხს არ უკავშირებს ატომური იარაღის აკრძალვას, აგრეთვე არ ითვალისწინებს ატომური იარაღის შესახებ ინფორმაციის წარდგენას, საბჭოთა დელეგაცია მას ვერ მიიღებს როგორც საფუძველს კომისიის შემდგომი მუშაობისათვის და ხმას მისცემს მის წინააღმდეგ.

კენჭისყრის შედეგად საფრანგეთის „სამუშაო დოკუმენტი“ მიღებულ იქნა კომისიის უმრავლესობის მიერ. მისი მიღების წინააღმდეგ ხმა მისცეს სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ეგვიპტის წარმომადგენლებმა.

ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მუშაობა მანჯურიაში

ბეიპინი, 2 აგვისტო. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების განყოფილებამ ქალაქ ციცაკარში შეიმუშავა მუშაობის ექვსი თვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალ წევრთა მიზიდვას, საზოგადოების პოპულარიზაციას ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებსა და სხვა ორგანიზაციებში. საზოგადოებასთან შეიქმნება კლუბი, ბიბლიოთეკა და რუსული ენის საღამოს სკოლა.

ხარბინში 16 ათასმა კაცმა შეიტანა განცხადება ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებაში შესვლის შესახებ. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განყოფილება დაარსდა მანჯურიის ისეთ ქალაქებში, როგორიცაა: ჰანჩუნი, გირინი, მუდანძიანი და ძიამესი. ისინი სწრაფად აჩაღებენ მუშაობას. ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მუქდენის განყოფილებამ, რომელიც 11 ივნისს შეიქმნა, თავისი 20 განყოფილება დააარსა ფაბრიკა-ქარხნებში, სკოლებში და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის სხდომა

ლონდონი, 3 აგვისტო. (საკდესი). დღეს გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტში“ გამოქვეყნდა საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის ცნობა, რომ ამა წლის 31 ივლისს შედგა საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის სხდომა. მინისტრთა საბჭომ განიხილა შემდეგი საკითხები: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა და საბერძნეთის საკითხი — მომხსენებელი დროებითი დემოკრატიული მთავრობის პრემიერ-მინისტრი დიმიტრიოს პარეალიდისი; სამხედრო მდგომარეობა — მომხსენებელი სამხედრო მინისტრი დიმიტრიოს ბლანდასი; „ლტოლვილთა და იუგოსლავიაში მყოფ ბერძენ ბავშვთა მდგომარეობა“ — მომხსენებელი მმართველების მინისტრი პასალ მიტროვსკი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიასთან დაკავშირებით საბერძნეთის დროებითს დემოკრატიულ მთავრობას საჭიროდ მიაჩნია გაძღოიროს მუშაობა, რათა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს განუმარტოს დემოკრატიული მთავრობის პოლიტიკა, რომელიც მიმართულია საბერძნეთში სამოქალაქო ომის შეწყვეტისაკენ. ამ საკითხზე თავის დადგენილებაში მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტა: გაეგზავნოს მემორანდუმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეას; გამოიცეს იმ დოკუმენტების წიგნი, რომლებიც ამტკიცებენ მონარქისტ ფაშისტთა და მათ მეპატრონეთა მისწრაფებას — განაგრძონ სისხლისღვრა, მიუხედავად იმისა, რომ საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობა მშვიდობის დამყარების პოლიტიკას ეწევა; მიაღწიონ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიას დაესწროს საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრ პეტროს რუსოსის, სოფლის მეურნეობის მინისტრ დიმიტრიოს პაპადამიტრისის და მმართველების მინისტრის — ამავე დროს ეგეოსის მაკედონიის სახალხო-განმათავისუფლებელი ფრონტის ხელმძღვანელ პასალ მიტროვსკის შემადგენლობით.

მინისტრთა საბჭომ განიხილა ლტოვილთა და იუგოსლავიაში მყოფ ბერძენ ბავშვთა მძიმე მდგომარეობა და გადაწყვიტა პროტესტი განუცხადოს იუგოსლავიის მთავრობას.

საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის გადაწყვეტილება

პრაღა, 3 აგვისტო. (საკდესი). როგორც ტელეგრესის სააგენტო „თავისუფალი საბერძნეთის“ რადიოსადგურის დამოწმებით იუწყება, საბერძნეთის დროებითმა დემოკრატიულმა მთავრობამ მინისტრთა კაბინეტის 31 ივლისის სპეციალურ თათბირზე გადაწყვიტა სთხოვოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას თანხმობა, რომ დელეგაცია გაგზავნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე საბერძნეთის საკითხის მომავალ განხილვაში მონაწილეობის მისაღებად.

„ერთადერთი საფრთხე, რომელიც საფრანგეთს ემუქრება, ამერიკის სწრაფვებია“

„მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის მივართვა პარიზის მოსახლეობისადმი

პარიზი, 3 აგვისტო. (საკდესი). იმასთან დაკავშირებით, რომ პარიზში უნდა ჩავიდნენ ამერიკის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელები ეგრეთ წოდებული დასაცავლეთის კავშირის (რომლის შტაბიც ქალაქ ფონტენბლოშია) სამხედრო წარმომადგენლებთან მოლაპარაკების გასაძართავად, პარიზის დემოკრატიულ ორგანიზაციებს სენის დეპარტამენტის „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის კავშირურთიერთობის კომიტეტის ინიციატივით განზრახული აქვთ 5 აგვისტოს საპროტესტო წერილები და რეზოლუციები გადასცეან ამერიკის საელჩოს პარიზში.

„მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის კავშირურთიერთობის კომიტეტის გუშინ სალამოს შემდგარ სხდომაზე, რომელსაც მრავალი დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები დაესწრნენ, მიღებულ იქნა მომართვა, რასაც დღეს აკრავენ პარიზსა და მის გარეუბნებში.

„ატლანტიკის პაქტის რატიფიკაციის 8 დღის შემდეგ,— ნათქვამია მომართვაში,—გენერალი ბრედლი ევროპაში ჩამოვიდა, რათა მოამზადოს ამერიკის სტრატეგიული გეგმის განხორციელება. გერმანიაში ყოფნის შემდეგ გენერალი ბრედლი და მისი შტაბი ხუთშაბათს პარიზს ჩამოვლენ. რას ამბობენ ისინი? გენერალ ბრედლის მტკიცების თანახმად, ამერიკის კონგრესში ლაპარაკია საფრანგეთის როლის განსაზღვრის შესახებ, რომელმაც ქვეითი ჯარი უნდა გამოიყვანოს მომავალი ბრძოლისათვის, მაშინ როცა ამერიკელები თავისთვის ატომურ შეტევას იტოვებენ. ამრიგად, დასტურდება განცხადება, რომელიც გაკეთა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატის წევრმა კლარენს კენნმა: „ჩვენი მიზანი ის არის, რომ გამოიწვიოთ სხვა ერთა ჯარისკაცები. სხვა ქვეყნებმა გამოიყვანონ საზარბაზნე ხორცი, ჩვენ კი არ გავგზავნით ომში ჩვენს ახალგაზრდებს“. ამრიგად ახლა, საფრანგეთის მთავრობის უარყოფითი მტკიცების მიუხედავად, ჩვენ ვიცით, რომ სწორედ ეცნობოთის მთავრობა საფრანგეთის სახელით წყვეტს საკითხს—ომი იქნის თუ მშვიდობა. როგორც რობერ შუმანმა აღიარა, საბჭოთა კავშირის მხრივ საფრანგეთს არავითარი საფრთხე არ მოელის. ნამდვილი და ერთადერთი საფრთხე, რაც საფრანგეთს მოელის, არის ამერიკის სტრატეგიული გეგმა, რომელიც გერმანიის ხელახლა შეიარაღებას ითვალისწინებს. ეს გეგმა ახალ უსაყოფო სახეჯერო ხარჯებს აკისრებს ფრანგ ხალხს. საფრანგეთის ხალხს, რომელმაც ხელი მოაწერა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებას, არ შეუძლია დაეთანხმოს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ომში ჩაითრიონ.

საორგანიზაციო კომიტეტის მოწოდებით, რომელიც იქმნება „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის ინიციატივით, პარიზისა და მისი მიდამოების მცხოვრებნი 5 აგვისტოს 17 საათზე ამერიკის საელჩოში გენერალ ბრედლის გადასცემენ რეზოლუციებს, გადაწყვეტილებებსა და პროტესტებს, რომლებიც მოწმობენ მის მისწრაფებას მშვიდობისაკენ“.

პარიზი, 3 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, რომ პარიზის მშრომელთა მანიფესტაცია, რომელიც „მშვიდობისათვის და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციამ დანიშნა გენერალ ბრედლისადმი საპროტესტო რეზოლუციებისა და პეტიციების გადასაცემად, პარიზის პოლიციის პრეფექტმა აკრძალა.

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს კომუნიკე

პარიზი, 2 აგვისტო. (საკდესი). მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის დელეგაციები, აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენლები, რომლებიც ამჟამად პარიზში იმყოფებიან.

ამ სხდომაზე მოსმენილ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კოიმიტეტის ბიუროს ვიცე-თავმჯდომარის დარბუსიეს მოხსენება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობა მსოფლიო კონგრესის მუშაობის დამთავრების შემდეგ წარმატებით ვითარდება 71 ქვეყანაში, რომლებთანაც მსოფლიო კონგრესის კომიტეტს ამჟამად დამყარებული აქვს მუდმივი კავშირი.

დარბუსიემ ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კავშირში მშვიდობის მომხრეთა მომავალი კონფერენციის მნიშვნელობა. როგორც ცნობილია, ეს კონფერენცია გათვალისწინებულია მოეწყოს მოსკოვში 1949 წლის აგვისტოს დამლევს. გარდა ამისა, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა ავრეთვე ამერიკის კონტინენტის მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწვევის მნიშვნელობა. ეს კონგრესი განზრახულია მოეწყოს ქალაქ მექსიკოში 1949 წლის 5-10 სექტემბერს. გადაწყდა ამ კონგრესს ყოველმხრივ დაუჭიროს მხარი მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივმა კომიტეტმა.

სხდომამ მოისმინა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიუროს ვიცე-თავმჯდომარის ლუი საიანის მოხსენება მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის შესახებ პროფკავშირთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და დაადგინა — მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღად რეკომენდებულ იქნას 2 ოქტომბერი. ამ დღის თარიღის საკითხი საბოლოოდ უნდა დამტკიცდეს მშვიდობის მომხრეთა ეროვნულ კომიტეტებთან კონსულტაციის შემდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთა გასამართლება

ნიუ-იორკი, 3 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ხელმძღვ